ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

შორენა ბერიძე

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანმანათლებლო საქმიანობა აჭარაში“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,

ასოც.პროფესორი - რომან აბაშიძე

ხიჭაური 2021

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამაგისტრო ნაშრომში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საგანმანათლებლო საქმიანობა აჭარაში, ასახულია ამ საზოგადოების დაარსების ისტორია და საგანმანათლებლო ღვაწლი მთელ საქართველოში მისი დაარსების დღიდან ფუნქციონირების შეწყეტამდე. ნაშრომი მოიცავს ორ თავს. პირველ თავში შედარებით ვრცლად არის განხილული „ქ.შ.წ.კ.გ.საზოგადოების დაარსების ისტორია და მისი შეუპოვარი ბრძოლა ცარიზმის პერიოდის საქართველოში ქართული წერა-კითხვის პრობლემის გადაჭრაში; რაც შეეხება მეორე თავს, სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის ფორმატში, დეტალურად არის აღწერილი და გაანალიზებული ამ საზოგადოების როლი და მნიშვნელობა აჭარის მკვიდრი მოსახლეობისთვის, როგორც ქართული წერა-კითხვის დაძლევის, ასევე ეროვნული ცნობიერების განმტკიცების თვალსაზრისით.

ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს აჭარის განათლების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს, აღნიშნული თემით დაინტერესებულ მკითხველს.

Abstract

The educational activities of the "Society for the Promotion of Literacy among Georgians" in Adjara reflect the history of the creation of this society and educational achievements throughout Georgia from the day of its creation until its termination. The work consists of two chapters. The first chapter discusses in more detail “The history of the creation of the K.S.C.K.G. and his tireless struggle to solve the problem of Georgian literacy in tsarist Georgia; As for the second chapter, the role and significance of this society for the indigenous population of Adjara in terms of overcoming Georgian literacy and strengthening national identity are described in detail in the format of a master's thesis.

The article will be of great help for researchers interested in the history of education in Adjara, for readers interested in this topic.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი.....5

თავი I. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების ისტორია და მისი საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოში……..…...8

ქ. შ. წ.-კ.გ. საზოგადოების ბიბლიოთეკა - სამკითხველოები…….29

თავი II “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საგანმანათლებლო საქმიანობა აჭარაში……...……..33

დასკვნები.....49

გამოყენებული ლიტერატურა.....52

შესავალი

მსოფლიო ისტორიაში ყოველ ახალ ეტაპზე კაცობრიობა მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას განათლებაში შექმნილი მდგომარეობის გამო და სვამდა კითხვას- როგორი უნდა იყოს განათლება დღეს და როგორ უნდა ვითარდებოდეს იგი ხვალინდელი დღის მოთხოვნათა გათვალისწინებით? ძიების პროცესი, ისევე როგორც თვით კაცობრიობის განვითარება განუწყვეტელია. შესაბამისად, მუდმივად იარსებებებს ეს კითხვები. თუმცა მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა გზა გაიარა განათლების სფერომ დღემდე, რა წინაპირობები შექმნა ახალი იდეების წარმოსაშობად.

მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიის შესწავლით ვრწმუნდებით, რომ ყოველი ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრებას აუცილებლად მოსდევდა აღზრდისა და განათლების სფეროს შესაბამისი გარდაქმნაც. ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებით ნაკარნახევი საგანმანათლებლო რეფორმები სერიოზულ წარმატებას აღწევდა იქ, სადაც ამ ურთულესი პროცესის წინამძღოლად მეცნიერული აზრი ბატონობდა. ნებისმიერი რეფორმა, რომელიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს.

აჭარა, როგორც ძველი მესხეთის შემადგენელი ნაწილი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული დედასაქართველოს ძირძველ ისტორიასთან. აჭარის მკვიდრნი მრავალი საუკუნეების მანძილზე თავიანთ ძმებთან – ქართველებთან ერთად იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, იცავდნენ მათ სამშობლოს, მამულს, ენას, სარწმუნოებას, მაგრამ ისტორიულმა ბედუკუღმართობამ აჭარა მოწყვიტა საქართველოს და სამი საუკუნის მანძილზე ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოაქცია, რამაც ნეგატიური როლი ითამაშა ამ კუთხის ცხოვრების ყველა სფეროზე და განსაკუთრებით ხალხის განათლებაზე, კულტურაზე, ზოგადად, ეროვნულ ცივილიზაციაზე. სამასწლიანი ბატონობის დასრულების და დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, აჭარას, მაინც მძიმე პირობებში უხდებოდა ჭრილობების მოშუშება, რადგან იგი აღმოჩნდა რუსეთის ბატონობაში, რომელსაც, როგორც ყველა დამპყრობელს არარად მიაჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული პრობლემების მოგვარება და ხელშეწყობა. საჭირო იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღდგენა, რაც უმეტესწილად განათლების სფეროს უნდა ეკისრა.

დაირღვა ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, ხალხის სრულყოფილი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი სწავლება და აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე, ხალხის სულიერი კულტურა ყალიბდებოდეს ეროვნულ ტრადიციებზე. აჭარაში არსებული ვითარება მხოლოდ დუალისტური პრინციპებით აგების წინაპირობას იძლეოდა, რადგან დუალიზმი გულისხმობს სასწავლო დაწესებულებათა ორი, პარალელური სისტემის

არსებობა, რომლის დროსაც არ არის შესაძლებელი ერთი სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მეორეზე გადასვლა.“

აღნიშნული დუალისტური სისტემა მკვიდრდება აჭარაში და სწორედ ქართული სასკოლო სისტემის მესაძირკვლედ ოსმალთა ბატონობის შემდეგ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იქცა.

წინამდებარე ნაშრომის თემის აქტუალობის ერთი ასპექტიც არის იმის ჩვენება, რომ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული დაპყრობითი პოლიტიკა დამანგრეველი ძალისხმევით მოქმედებს დაპყრობილი ხალხის საგანმანათლებლო სისტემასა და ეროვნული კულტურის განვითარებაზე. თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაშიც, რომ აჭარის სწორედ ამ ისტორიის თავისებურება განაპირობებს მასთან ორგანულად დაკავშირებულ სასკოლო განათლების სისტემის სპეციფიკურობას და იგი ლაიტმოტივად გასდევს აჭარის განათლების სფეროს, ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, ყოველივე ზემოხსენებული მოვლენებიდან დაკავშირებით და ყოველივედან გამომდინრე რა როლი შეასრულა წერა - წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართველების და მათშორის აჭარლების განათლებასა და განვითარებაში. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გახსნილ პირველ ქართულ სკოლებს, თურქულ მედრესესა და იმპერიული რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ სასწავლო დაწესებულებებს „ქართველთა შორის წერა-კითვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ერთად უხდებოდა ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად. ქართულმა სკოლამ წ.-კ. საზოგადოების დახმარებით ორი ათეული წლის განმავლობაში შეძლო აჭარის მოსახლეობაში ნდობის მოპოვება, რამაც განაპირობა აქაური მკვიდრი მოსახლეობის ნაციონალური შეგნების ჩამოყალიბება. აჭარაში სასკოლო განათლების შესახებ დღემდე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. მათი ავტორები (ვ.გაგუა, გ. ნიორაძე ა.გობრონიძე გ. ბაბილოძე, ვ. წულუკიძე, ე. ცივაძე, ნ. გუგუნავა და სხვ.) კეთილსინდისიერად იკვლევდნენ ცალკეულ ასპექტებს, რითაც ხასიათდება განათლების სასკოლო მდგომარეობა აჭარაში. ვ.გაგუას ნაშრომი „ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (თბილისი 1979 წ) აღწერს საზოგადოების წარმომავლობას თუ საიდან მომდინარეობდა ორგანიზაციის დაარსების იდეა, გადმოცემულია, თუ როგორ გაიხსნა პირველი ქართული სკოლა საქართველოში და დაწვრილებითაა აღწერილი აჭარის იმ პერიოდის მდგომარეობა ოსმალთა სამასწლოვანი უღლისაგან გამოხსნილი და დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის სასკოლო განათლების სისტემის საერთო მდგომარეობა. ავტორი ქართული პრესისა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საგანმანათლებლო მოღვაწეობის ეროვნულ ხასიათს და ცდილობს დაგვანახოს ამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლები როგორ უწყობდა ხელს აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას. ვ. გაგუას მსავსად აღწერენ ტ.ხუნდაძე „ქართველთა შორეის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ (თბილისი 1960 წ), ვ.წულუკიძე ნაშრომი „ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, 1996 წელი), აღწერენ ,,ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების ისტორიას XIX-საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველ ნახევარში. ნაშრომში ასევე განხილულია ბათუმში პირველი ქართული სკოლის დაარსების ძირითადი მიზეზები, აგრეთვე მოცემულია ის სიძნელეები, რომლის პირობებშიც უხდებოდა სკოლას მოღვაწეობა ეროვნული მისიის აღსასრულებლად. მნიშვნელოვანია აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარის ვახტანგ წულუკიძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა აჭარაში“ (ბათუმი, 1982 წ.) ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში ხაზს უსვამს კონკრეტულად ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნის მნიშვნელობას, განსაზღვრავს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარისათვის ამ სკოლის დიდ როლს და ფაქტობრივად გვაძლევს ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიას მისი დაარსებიდან მეოცე საუკუნის 70-იან წლების ბოლომდე. მეტად საინტერესოა ასევე ნანი გუგუნავას ნაშრომი ,,მემედ აბაშიძე განმანათლებელი “, (ბათუმი , 1997 წ.) და ა.გობრონიძე „გოგებაშვილი და აჭარა.“ ავტორებმა მკაფიოდ წარმოაჩინეს იაკობ გოგებაშვილის როლი პირველი ქართული სკოლის დაარსებაში.

სამაგისტრო ნაშრომის თემაზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები: ა) ისტორიული და პედაგოგიკური ლიტერატურის შესწავლა; ბ) საარქივო წყაროების დამუშავება; გ) მონაცემთა შედარებითი ანალიზი.

ჩვენი ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აღზრდისადმი სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიდგომის თვალსაზრისი, ანუ რამდენად უწყობს აღზრდა ხელს მამულიშვილის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას; ეროვნული თვითშეგნებით აღზრდილია მამულიშვილი, ვისაც მტკიცედ სწამს, რომ საქართველოს შეუძლია ძლიერი მეზობლების გვერდით იცხოვროს და განვითარდეს დამოუკიდებლად, დაიცვას თავისი სუვერენული უფლებები და განავითაროს ეროვნული კულტურა.

ჩვენი ნაშრომის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს აჭარის განათლების ისტორიის მკვლევართა ნაშრომები, საარქივო მასალები, ჟურნალ-გაზეთები. ჩვენი კვლევის მიზანია, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლა აჭარაში. დასახული მიზნის მისაღწევად სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ შემდეგი საკითხები:

- „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმის ისტორია ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ფონზე.

- „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საგანმანათლებლო საქმიანობა აჭარაში და მისი ეროვნული დანიშნულება ნაციონალური შეგნების ასამაღლებლად.

დასახული ამოცანის განხორციელებისათვის განისაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც შედგება შესავლის, ორი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი-I

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების ისტორია და მისი საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოში

რუსეთის დიდი რევოლუციონერების იდეებია და მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ტრადიციებზე აღიზარდნენ ქართველი სამოციანელები, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდი კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს. სამოციანელთა მეცადინეობით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გააქტიურდა „ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ , რომელიც 1850 წლიდან არსებობდა. 1868 წელს დაარსდა „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება“, „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება“ (1864), „სამედიცინო საზოგადოება“(1864), „ხელოვნების საზოგადოება“(1864), „ არტისტთა საზოგადოება“(1865), „ კავკასიის მუზეუმი“(1865), „ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება შეუძლებელი მოსწავლეთა შემწეობისთვის“ (1878) და სხვა.

მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა.

საზოგადოების დაარსებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ი. გოგებაშვილის გადმოცემით, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საოგადოების“ ჩამოყალიბების იდეა ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიბადა იოსებ მამაცაშვილისოჯახში. (გაგუა, 1979:4)

დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თავისი არსებობის პირველსავე წლებში მუშაობის გასაუმჯობესებლად ორ ორგანიზაციულ ზომას მიმართა:

1) 1881 წლის 12 ნოემბერს იაკობ გოგებაშვილის წინადადებით მოხდა შრომის განაწილება გამგეობის წევრთა შორის: ნ. ცხვედაძე მიენდო სახელმძღვანელოების გასინჯვა, ი. გოგებაშვილს, მაჩაბელს და ცხვედაძეს - მასწავლებლების მოწვევა, მეუნარგიას - ბიბლიოთეკების შედგენა, ი. ჭავჭავაძეს და გ. თუმანიშვილს - ნივთიერი სახსრების გამოძებნა (საქ.ცა, ფ. საქ. № 42, ფ. 5-8.)

2) 1884წელს წ.-კ.საზოგადოების გამგეობამ მაზრებში გაიჩინა აგენტები; მათ ევალებოდათ ახალი წევრების შეძენა, საწევრო გადასახადების აკრეფა, საღამოების გამართვა, სკოლების დაარსებისთვის ხელის შეწყობა და სხვა. იმ პერიოდისთვის რწმუნებულები (აგენტები) ერთადერთ როლს წარმოადგენდნენ, რომლითაც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა უკავშირდებოდა მოსახლეობას და და ეს კავშირი მით უფრო ძლიერი და მჭიდრო იყო, რამდენადაც ენერგიულად და მომდომებულად მუშაობდა ესა თუ ის რწმუნებული (საქ.ცა. ფ.481, საქ. № 60, ფ. 11).

პირველ პერიოდში, საზოგადოებას კერძო წრის სახე ჰქონდა. მისი წევრები აგროვებდნენ ფულს საქველმოქმედო საქმისთვის , პირველ რიგში კი - დაწყებითი სკოლის გამართვისთვის.

წრემ ასეთი სკოლა 4 წლიანი კურსით მთავრობის ნებართვით სოფელ ხოველში გახსნა. პირველი სამი წელი სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მეოთხე წელიწადს განათლების ორგანოების დაჟინებული მოთხოვნით ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ.

„არაფრად გვეპიტნავა მაგრამ რას ვიზამდით- წერს ი. გოგებავილი- გავხსენით სკოლა, გავამწესეთ მასწავლებელი და გავაჩაღეთ სწავლა , მაგრამ საქმემ ფრთები ვერ გაშალა, რადგან დედა-ენის უფლების შეზღუდვამ ცივი წყალი გადაასხა წრის წევრებს. ჩვენ გვსურდა სამაგალითო სკოლა დაგვეარსებინა, რომლისთვისაც უნდა მიებაძათ ყველა სოფლის სკოლებსა; მაგრამ სამოსწავლო ბიუროკრატიამ მეტად დააკოჭლა ჩვენი სკოლა, ნაყოფიერება მისი საგრძნობლად შეამცირა და დაუკარგა მიმზიდველობის

ძალა... ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად. არც ერთი სკოლა ამ წრეს არ გაუხსნია და მხოლოდ სოფლის ერთ სკოლას აწარმოებდა, ისიც ვაინაჩრობით. საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი მიზანის და წადილის მისაღწევად კერძო წრე უძლურია და საჭიროა ფართო საზოგადოება, ჯეროვანი წესდებულებებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იყოს დამტკიცებულიდა დაკანონებული“ (გოგებაშვილი,1955:392-393).

ვახტანგ თულაშვილმა ზაქარია ერისთავის მეშვეობით იშოვა „წერა-კითხვის გამავრცელებელი უკრაინული საზოგადოების წესდება“. ასეთი საზოგადოება იმ დროის რუსეთშიც არსებობდა. დაიწყო წესდების შედგენა. ვ. თულაშვილი წერს:

„ნ.ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და მე შევუარენით და ვთხოვეთ დ.ყიფიანს მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში... დ. ყიფიანმა წინაპირველად არ ისურვა მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, მაგრამ შემდეგ ჩვენი აზრი მოიწონა, დაგვეთანხმა და კვირაში ერთხელ ხანდახან ორჯერაც ვიკრიბებოდით ხოლმე სახლში წესდების შესადგენად... წესდების შედგენას თითქმის მთელი 1877 წლის ზამთარი 1878 წლის იანვარი მოუნდა“.(„მოამბე“, № 5, გვ.44-45).

1878 წლის 20 იანვარს წესდების შედგენის შემდეგ დამფუძნებელი ჯგუფის წევრები შეკრებილან გრიგოლ ორბელიანის ბინაზე და დიმიტრი ყიფიანს დამსწრეთათვის გაუცნია წესდების პროექტი, რომელიც ცხარე კამათის საგანი გამხდარა. გრიგოლ ორბელიანს წამოუყენებია აზრი, რომ საზოგადოებას ეწოდოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, დიმიტრი ყიფიანი კი ამის წინააღმდეგი იყო.

„რადგანაც სომეხთ, ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა წილი, აღარ დაედებათ, რომელთა შორის უნდა ვრცელდებდეს წერა-კითხვაო“

უმრავლესობა გრიგოლ ორბელიანს მომხრობია და მისი წინადადება გასულა. ამავე დროს საზოგადოების წევრობა უნდა შესძლებოდათ ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც. საჭირო იყო წესდებაზე ხელი მოეწერათ გავლენიან პირებს. ეს საქმე შესრულდა და დიმიტრი ყიფიანმა 1879 წლის 25 მარტს წესდების პროექტი წარადგინა დასამტკიცებლად მეფის ნაცვალთან, რომლის არყოფნის გამო ამ მოვალეობას ასრულებდა მისი თანაშემწე, გენერალ-

ადიუტანტი სვიატოპოლსკ-მირსკი. მან დაამტკიცა პროექტი 1879 წლის 31 მარტს.

ი.გოგებაშვილის დაჟინებითი მოთხოვნით წესდებას მესამე მუხლი ითვალისწინებდა ქართულ ენაზე სწავლებას წესდების პროექტში. ამ მუხლის შეტანის წინააღმდეგი იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ბესარიონ ღოღობერიძე და ზოგიერთი სხვა იმ მოტივით, რომ მთავრობა ასეთ დათმობაზე არ წავა და საზოგადოების დაარსებაზე საერთოდ უარს გვეტყვისო. ი.გოგებაშვილი იშველიებდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის რესკრიპტს ინოროდცების სახალხო სკოლებში დედაენაზე სწავლების უფლების შესახებ. ბოლოს და ბოლოს დამფუძნებელი წრის წევრები დათანხმდნენ, წესდება ამ მუხლით დაამტკიცეს და იგი მოქმედებაში შევიდა.

1879 წლის 15 მაისს შედგა ახალდაარსებული საზოგადოების პირველი კრება ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად და მუშაობის გასაშლელად. საზოგადოების თავმჯდომარის პოსტზე დაასახელეს გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც მოხუცებულობის გამო უარი განაცხადა ამ საპატიო წინადადების მიღებაზე. კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დიმიტრი ყიფიანი, თავმჯდომარის ამხანაგად(მოადგილედ) - ილია ჭავჭავაძე, მდივნად - ალექსანდრე სარაჯიშვილი, გამგეობის წევრად ამათ გარდა, აირჩიეს იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, ხოლო კანდიდატებად - დ. ავალიშვილი, გ. უთურგაული და ნ. ქანანოვი.

1880 წლის 20 იანვარს საზოგადოების გამგეობის წევრებად დამატებით აირჩიეს გ. წერეთელი, ი. მეუნარგია, თ. ჟორდანია, ი. გამყრელიძე, გ. თუმანიშვილი, გ. უთურგაული, ხოლო კანდიდატებად - დ. ავალიშვილი და ვ. მიქელაძე.

საზოგადოების წევრთა რიცხვი 1879 წელს 245 კაცს შეადგენდა, შემდეგ წლებში ის სწრაფად იზრდებოდა.

„ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი ჩვენში ჯერად არ დაბადებულა, - წერდა ი. გოგოებაშვილი,- მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანებისათვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთს რომელიმე

წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იდებს ზრუნვას მთელს ერზე. მისთვის არ არსებობს არც თავადი, არც აზნაური, არც სამღვდელო, არც გლეხი; იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობას. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთი რომელიმე კუნჭულით, - მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, გურია, სამურზაყანო, ოსმალეთის საქართველო, ერთი სიტყვით თითქმის მთელი სამეფო თამარისა“. (გოგებაშვილი, 1954:3).

ამ საზოგადოების დაარსებით აღფრთოვანებული ი. ჭავჭავაძე წერდა:

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განზრახვა და მოქმედება შორს წვდება... ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სამშობლო ენაზედ სწავლა-განათლება და ამით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველ კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც აქნობამდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა. მართალია, მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის , მაგრამ ჯერ ერთი, ის, რომ როგორც მოგეხსენებათ, სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმება; გარდა ამისა, არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს, საშუალო სასწავლებლად და მით შეავსოს საქმე, რომლისთვისაც ხელის მოკიდებას აპირებს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი ჩვენი საკუთარი ქართული სასწავლებელი , - შეიქმნება ჩვენი ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე.ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“.(ი. ჭავჭავაძე, 1956:46-47).

„ წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ჭეშმარიტად ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული ხალხის განათლებასა და საერთო

კულტურულ განვითარებას . 1880 წელს საზოგადოებას 245 წევრი ჰყავდა, 1883 წელს - 311, 1885 წელს - 376, მათ შორის ორი საპატიო წევრი (1880 წელს საპატიო წევრად აირჩიეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, ხოლო 1885 წელს - ნიკო დადიანი (მინგრესკი)). საზოგადოების ავტორიტეტისა და პირველ რიგში მისი რაოდენობრივი ზრდა საქმის ფართოდ გაშლის შესაძლებლობას იძლეოდა.

საზოგადოება უმთავრესად საქმედ მაინც დაწყებითი განათლების გავრცელებას თვლიდა და დაარსებისთანავე ენერგიულად შეუდგა ამ მიზნის აღსრულებას. 1879 წელსვე თბილისსა და ქუთაისის გუბერნიების სახალხო სკოლაში დირექციების დახმარებით დაზუსტდა დაწყებითი სკოლების ადგილსამყოფელი და რაოდენობა. ყველა მათგანს გაეგზავნა კითხვარი, რომელზეც პასუხს ითხოვდა გამგეობა. მას აინტერესებდა სკოლების სასწავლო - მატერიალური ბაზის მდგომარეობა. მოსწავლეთა რიცხვი, მათ შორის ქალთა შემადგენლობა, სკოლის არსებობის წყაროები, სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფა და სხვა.

დადგინდა, რომ არსებული სკოლების მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდში ინახება ოზურგეთის მაზრის ჩოჩხათის სკოლის გამგე მასწავლებლის ეგნატე ინგოროყვას(ნინოშვილის), ზუგდიდის მაზრის ს. ნოჯიხევის სკოლის გამგე-მასწავლებლის სტეფანე სანებლიძის და სხვათა წერილები, რომლებიც ნათელს ხდიან სკოლების სავალალო სურათს.

გამგეობა, პირველ პერიოდში, თავის მთავარ მოვალეობად არსებული სკოლებისათვის დახმარების გაწევას თვლიდა. მის განკარგულებაში არსებული სახსრები ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი სკოლების დასაარსებლად. 1879 წელს საზოგადოებას პირად ანგარიშზე 15 762 მანეთი ჰქონდა, აქედან არსებულ 5 -6 დაწყებით სკოლას 1 525 მანეთის წიგნები და სხვა საწავლო ნივთები გაეგზავნა. გაგზავნილ წიგნებს შორის იყო: ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ , „ბუნების კარი“, გ. კალანდარაშვილის „რუსკოე სლოვო“, გრ. ორბელიანის ლექსები, „ამბები ყრმათათვის“, „პატარა ბიბლიოთეკა“, „იგავ-არაკები“, სულხან - საბა

ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“, ნ. ბარათაშვილის ლექსები და სხვა, სულ 37 სახელწოდების წიგნი.

საზოგადოება იმ სკოლებს უწევდა დახმარებას, სადაც ქართული ენა, როგორც ცალკე საგანი ოფიციალურად ისწავლებოდა. იმ სკოლის თხოვნას, სადაც ქართული ენა არ იყო სავალდებულო საგნად მიჩნეული, საზოგადოების გამგეობა უარს ეუბნებოდა. მაგალითად: 1896 წელს სოფელ ეკში (სენაკის მაზრა) დაარსდა სასოფლო სკოლა, რომლის დეპუტატებმა წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სთხოვეს დახმარება წიგნებითა და საწავლო ნივთებით. გამგეობამ მათ გაუგზავნა საპასუხო ბარათი შემდეგი შინაარსით:

„ ამ თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ , როდესაც გამგეობას ეცოდინება შემდეგი გარემოებანი: 1) რამდენ წელიწადს რჩებიან ეკის სასწავლებელში მოსწავლენი, 2) რამდენი გაკვეთილია დანიშნული თითოეულს განყოფილებაში ქართულის ენისათვის და 3) რომელს სახელმძღვანელოს ხმარობენ ქართულის შესასწავლად“ (ჭავჭავაძე, 1956:47).

ეკის სკოლის დეპუტატმა გამოგზავნა პასუხი, რომელშიც ნათქვამია:

„ 1) ეკის სასწავლებელში რჩენბიან მოსწავლეები 4-დან 5 წლამდე ; 2) საწავლებელი შესდგება სამი განყოფილებისაგან: პირველ გამყოფილებაში სწავლობენ 67, მეორეში14 და მესამეში 6 შაგირდები, გარნა ოდეს ჩვენი ბავშვები წერა - კითხვით ვითარდებიან რუსულ ენაზე, მერეც ჩვენს ოჯახებშიდ სრულიად უადვილდებიან ქართული ენის წერა და კითხვა“ (ი. ჭავჭავაძე, 1956:47).

აქედან ირკვევა, რომ ქართული ენა სკოლაში აკრძალული იყო და ის საოჯახო სფეროს არ სცილდებოდა. საზოგადოების გამგეობამ ეკის სკოლის დეპუტატთა თხოვნა არ შეიწყნარა იმ მოტივით, რომ „ ეკის სკოლაში არ ასწავლიან ქართულ ენას“.

ამ უარის ნამდვილი მიზეზი საზოგადოების სიღარიბე იყო. ის პირველ რიში წიგნს იქ გზავნიდა , სადაც მეტ საჭიროებას გრძნობდა .

მაგრამ ცხადია, საზოგადოება მარტო დახმარებით ვერ დაკმაყოფილდებოდა. გამგეობა შეუდგა თბილისსა და ქუთაისში სკოლების

დაარსებისთვის მზადებას. ამ მიზნით საჭირო თანხების გამოძებნის საქმეში დიდი როლი შეასრულეს თბილისსა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკებმა, რომლებმაც შემოსწირეს 22 ათასი მანეთი (თითოეულმა - 11 ათასი). ქუთაისის ბანკმა 3 ათასი მანეთი გადასცა საზოგადოებას, ხოლო რვა ათასი მანეთი გადასდო ქუთაისში სათავადაზნაურო სკოლის გასახსნელად და შესანახად.

სათავადაზნაურო ბანკების მიერ ესოდენ დიდი თანხის გაღება არ იყო უმტკივნეულო და ერთსულოვანი აქტი. როგორც თვით ილია ჭავჭავაძე წერდა, თავადაზნაურების ერთმა ნაწილმა აყალმაყალი ატეხა: ჩვენს მიერ გაღებული თანხით ყველა წოდების ბავშვები რატომ უნდა სწავლობდენო, ჯერ ჩვენი ბავშვები აღვზარდოთ და მერე სხვისიო. მაგრამ ბანკების შემადგენლობაში იყო ბევრი მოწინავე ქართველი, რომელიც ასეთი კერძო ტენდენციებით არ იყო შეპყრობილი და ახლადდაარსებული საზოგადოების სასარგებლოდ სახსრების გაღების საქმე დადებითად გადაწყდა.

1879 წელს ქრისტეფორე მამაცაშვილი აყენებს სოფელ რუისში (გორის მაზრა) სასოფლო სკოლის გახსნის საკითხს . ი. ჭავჭავაძის ხელმოწერილი მიმართვის პასუხად, საზოგადოებას, რომ ეცნობოს ამ სკოლის დაარსების დეტალები, ქრ. მამაცაშვილი წერს:

„სოფელ რუისში არის ამჟამად 400 კომლი, ამ რიცხვიდან რომ გამოვრიცხოთ 30 კომლი სხვადასხვა აზნაური , რომელიც შკოლის ფულს არ იღებენ, ამის გარდა 80 კომლი გლეხნი ისე ღარიბნი, რომ იმათ მცირე მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ შკოლის ფულის მოგროვებაში, დანარჩენ 290 კომლ გლეხს შეუძლიან დაუბრკოლებლივ გამოიღოს შკოლის ფული, მაგრამ იმდენი, რომ იმათაც არ გაუჭირდეთ შკოლის ხარჯი, რადგან დიდი ხარჯი აქვთ... სოფელ რუისმა შეადგინა ორი პრიგოვორი , ერთში გადაწყვიტა უჩიტელისათვის 300 მანეთი, მეორე პრიგოვორში მიუმატა კიდევ 100 მანეთი, სულ 40 თუმანი ჯამაგირი უჩიტელს ტატიევს, რომელმაც წრეულს გაათავა გორის უჩიტელობის სემინარია...“ (ჭავჭავაძე, 1956:47).

შემდეგ ქ. მამაცაშვილი აცნობებს საზოგადოებას იმის შესახებ, თუ რა დახმარება დასჭირდება სოფლის სკოლას.

გამგეობამ რუისის სკოლისათვის დაუყოვნებლივ გამოყო 175 მანეთი და გაუგზავნა ქ. მამაცაშვილს. საქმეში განათლების მოხელეები ჩაერივნენ და 1880 წელს გახსნილი რუისის სკოლა სახალხო სკოლების დირექციას დაუქვემდებარეს.

გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი დ. სემიონოვი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უგზავნის წერილს, რომელშიც აცნობებს ქ. გორში პროგიმნაზიის გახსნის განზრახვას და ითხოვს, რომ გამგეობამ შეეწიოს მას 1 400 მანეთი . გამგეობის სხდომას გადაუწყვეტია:

„რადგანაც საზოგადოების წესდების მესამე პარაგრაფის ძალით საზოგადოება ხსნის და ეწევა ისრეთ სახალხო შკოლებს, სადაც დასაწყისი სწავლა მიდის სამშობლო ენაზე და რადგან იმნაირი პროგნოზია, რომელიც იხსნება გორში და არ იქნება ხსენებული პარაგრაფის თანახმად, ამისთვის საზოგადოების გამგეობას არ შეუძლია გორის საქალაქო პროგიმნაზიას 1400 მანეთი ფული შეეწიოს, რაზედაც ეცნობოს გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორს უ. სემიონოვს“. (ჭავჭავაძე, 1956)

1879 წელს სხვა მრავალი თხოვნა შემოვიდა გამგეობის სახელზე სხვადასხვა სკოლების გახსნის შესახებ. ყველაზე მეტად აქტიურობდა გორის მაზრა. ამ განცხადებათა საპასუხოს გამგეობამ გამოაცხადა, რომ ის მხარს დაუჭერს სკოლების გახსნას, თუ:

„ შკოლის შენახვისთვის სოფლის საზოგადოება გაიღებს 35-40 თუმანს , საზოგადოება დაეხმარება ამ ნაირით : 1) საშკოლო სახლის აშნებაში დაეხმარება 15 თუმნით , 2) გაუკეტებს თავისი ხარჯით საჭირო მებელს, 3) გაუმწესებს საიმედო მასწავლებელს, 4) გაუგზავნის ყოველწლივ სამი თუმანის წიგნებს და იკისრებს შკოლის მართვას და სამუდამოდ მის გამგებლობას“ (ჭავჭავაძე, 1956:46-47).

ამ წესისი გასაცნობად და ადგილზე სკოლების პროპაგანდის მიზნით გამგეობამ მიავლინა წარმომადგენლები: კახეთში - რაფიელ ერისთავი, დუშეთსა და თიანეთის მაზრაში - პეტრე უმიკაშვილი, თბილისის მაზრაში - კოხტა აფხაზი, გორის მაზრაში - გიორგი ციციშვილი, იმერეთსა და რაჭაში - ალექსი ჭიჭინაძე, გურია- სამეგრელოში - იონა მეუნარგია. წარგზავნილებს

ოფიციალურმა ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა და ზოგიერთმა მათგანმა ადგილებამდეც ვერ მიაღწია. განათლების მოხელეები ხელს უშლიდნენ საზოგადოების გამგეობას - თუ სკოლების გახსნა გინდათ, მოსახლეობის დაუხმარებლათ გახსენით და შეინახეთ. ცხადია, მთავარი მოტივი სულ სხვა იყო, კერძოდ, განათლების მოხელეებს არ სურდათ ქართული სკოლის ქსელის გაფართოება და ქართული ენის დამკვიდრება მოზარდი თაობის სწავლებისა და განათლებაში. ამიტომ შეაფერხა ოფიციალურმა ხელისუფლებბამ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წარგზავნილთა საქმიანობა. რაფიელ ერისთავმა საზოგადოების გამგეობას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი თავისი გამგზავრების შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

„თანახმად გამგეობის მინდობილობისა, მე წაველ სიღნაღის მაზრაში , შესახებ სასწავლებლის გახსნის თაობაზედ, რათა ამ საქმისათვის მომეწვია სოფლების საზოგადოება და რა მივმართე ადგილობრივს მაზრის მე უფროსს შემწეობის აღმოჩენისათვის, თუმცა მან აღმითქვა ესე გვარი და მან ამისთვის გამაჩერეს კიდეც უმეტეს ერთი კვირისა , მაგრამ ბოლოს გამომიცხადა რომელ , ის შემდეგ აცნობებს გამგეობას ჩვენსა თვალსაზრისს ამ საგანზედ, და მე იძულებული დავბრუნდი თბილისს. ამ მისვლა-მოსვლაში დამეხარჯა 25 მანეთი და რა მქონდა მიღებული. თანახმად მიწერილობისა 16 ენკენისთვეს №153, სამოცდაათი მანეთი, ამითვის წარმოვადგენ დანარჩენს ორმოცდახუთს მანეთს“ (ჭავჭავაძე, 1956).

ზუსტად ანალოგიურ მოხსენებით ბარათს ადგენს ალ. ჭიჭინაძე, რომელიც გამგეობის მიერ იმერეთში იყო გაგზავნილი:

„ერთბაშად როდი უთქვამს უარი ადმინისტრაციას; პირველად სიტყვა მომცეს, რომ შეგიძლია წახვიდე სოფელში, უეზდის ნაჩალნიკის თანაშემწე წაგყვებაო, მაგრამ შემდეგ უარი მითხრეს და ცხენისათვის მიცემული ბე დაიკარგა“(ჭავჭავაძე, 1956).

მაგრამ საზოგადოება ფარ - ხმალს არ ყრიდა. მისი შეუნელებელი სურვილით ქართველ ხალხში სწავლა განათლების მოფენისა, თანდათანობით ფრთებს ისხამდა.

პირველი სკოლა, რომელიც „ქართველთა შორის წერა- კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გახსნა, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა იყო. ქუთაისის საზოგადოების მოთხოვნით საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„ მომავლის იანვარში 1880 წელს გაიხსნა ქუთაისის ორი განყოფილება ქუთაისის საზნაურო შკოლისა. ამ შკოლის მახლობელ მზრუნველად ყოფნა ეთხოვოს: 1) ანნა ბესარიონის ასულს მუხსელიშვილისას, 2) კნ. ელენე დიმიტრის ასულს ლორთქიფანიძისას, სვიმონ ბესარიონის ძეს ღოღობერიძეს, 4) ალექსანდრე ივანეს ძე ფიფინოვს, 5) კნ ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძეს , 6) კნ. კირილე ანტონის ძე ლორთქიფანისძეს და 7) ნიკ. დიმიტრის ძეს ყიფიანს. შკოლის ზედამხედველად დაინიშნოს ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე“ (ჭავჭავაძე, 1956).

ეს სკოლა 1880 წელს 3 თებერვალს გაიხსნა და საზოგადოებამ მისი გამგეობა იკისრა. საზოგადოება სკოლას სისტემატიურად ეხმარებოდა, კონტროლს უწევდა და ყველა ზომას იღებდა მისი მუშაობის გაუმჯობესებითვის. 1880 წლის დეკემბერში საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი გაეცნო ამ სკოლის მუშაობას და და სკოლის ცუდი სასწავლო- მატერიალური პირობებით შეწუხებული წერდა :

„ კლასში დიდი ვიწროობაა, მოწაფეებს ადგომა ყველად ერთად არ შეუძლიათ , არც მასწავლებელს არ შეუძლია პარტებშუა სიარული. ასეთ ვიწრო სწავობაში ჰაერის სიწმინდე მით უფრო შეუძლებელია, რომ არც ოთახს, არც იმის სარკმლებს ჰაერის საწმენდი დატანებული არა აქვს“. (ჭავჭავაძე, 1956).

სკოლა 160 მოსწავლისათვის იყო განკუთვნილი. 1880 წელს გაიხსნა ორი პირველი განყოფილება, რომელშიც 75 მოწაფე ჩაირიცხა (40 პირველში , 35 მეორში). მათ შორის ქუთაისის მაზრიდან იყო 29 , შორაპნის მაზრიდან- 12, რაჭის მაზრიდან- 8, ლეჩხუმის მაზრიდან - 2.

თუ რა დიდი მოვლენა იყო ამ, სკოლის დაარსება , იქიდან ჩანს, რომ 1880 – 1913 წლებში აქ 10 716 მოწაფე სწავლობდა. ამდენი მოსწავლე სხვა სასწავლებლებს იშვიათად თუ ყოლიათ.

1882 წელს მოსწავლეთა რიცხვმა უკვე 256- ს მიაღწია . სკოლა 4 კლასიანი იყო, სწავლების თითო წლის ხანგრძლივობით. მისი ამოცანა ახალგაზრდობისათვის დაწყებითი განათლების მიცემით შემოიფარგლებოდა . მაგრამ 1884 წელს მოულოდნელად კავკასიის სასწავლო ოლქმა საზოგადოების გამგეობას ნება დართო , რომ ამ სკოლას 1886 წლამდე ყოველწლიურად პროგიმნაზიური კლასი დამატებოდა. ამ პერიოდისთვის სკოლა უკვე ოთხკლასიანი პროგიმნაზია იყო. გამგეობის წევრი იაკობ გოგებაშვილი საჭიროდ თვლიდა ქართული სკოლის დაარსებას თბილისში, რადგან :

„მთელ თბილისში ერთი სახალხო ქართული სკოლა არ არსებობს. დაბალნი შკოლები ბლომად არიან გამართულნი, მაგრამ მათში ზოგნი სომხურნი არიან, ზოგნი რუსულნი. ამის გამო მოზარდი ქართველობა ჩვენი დედაბოძსა ან სრულიად მოკლებულია სწავლას., ან იძულებულია იაროს უცხო სკოლებში, სადაც გონება ეხშვება და ენა უმახინჯდება. ეს გარემოება ძლიერ დაეხმარება ქართული ელემენტის შესუსტებას ქალაქში, თუ მალე წამალი არ მივაშველეთ და არ გავხსენით სახალხო ქართული შკოლა ორივე სქესისათვის“.(ი. ჭავჭავაძე, 1956).

შემუშავებილი იქნა ამ სკოლის წესდება, რომლის მიხედვითაც:

„ სკოლა უნდა იყოს გახსნილი შუა ქალაქში, ორივე სქესისთვის ის უნდა იყოს 60 ყმაწვილისთვის ჯერჯერობით. ამ რიცხვიდან 50 უნდა იხადოს თითო მანეთი სასწავლო თვეების განმავლობაში, დანარჩენი ათი უნდა იყოს ამ გადასახდელიდან თავისუფალი... ახლო მომავალში ამ გვარივე სკოლები უნდა გაიხსნას საქართველოს სხვა ქალაქებში“.(ჭავჭავაძე, 1956).

გამგეობის გადაწყვეტილებით სკოლა გაიხსნა , მაგრამ დიდხანს არ უარსებია - 1882 წელს დაიხურა. ამ სკოლაში სულ 41 მოსწავლე სწავლობდა. სკოლის გაუქმებას გამგეობის სსხდომა შემდეგი მოტივებით ხსნიდა:

„ .. შარშანდეელი 1882-1881 წლის მოწაფეთაგან 20 ენკენსთვეს სწავლის გასაგრძელებლად გამოცხადდა მხოლოს 16 და ამათაც გამოეცხადებინათ სურვილი სკოლაში დარჩენისა მხოლოდ იმ პირობით , უკეთუ საზოგადოება სრულიად გაანთავისუფლებს მათ სწავლის გადასახადისგან. ახალი თხოვნა შემოსულიყო მხოლოდ 4 . ასე რომ დამდეგს წელიწადს სკოლაში იქნება

მხოლოდ ოცი“(ი. ჭავჭავაძე, 1956). გარდა ამისა, საზოგადოების გამგეობის აზრით, მთავრობის მიერ ქართველებისათვის გახსნილი თბილისში ორი უფასო სკოლა დააკმაყოფილებდა სწავლის მსურველთა და საზოგადოების მიერ თბილისში სკოლისათვის ფულის გაღება არამიზანშეწონილად იქნა მიჩნეული.

მთავარი მიზეზი მაინც სკოლის ფინანსური კრიზისი აღმოჩნდა .1881 წელს სწავლის ქირისაგან , მოსალოდნელი 400 მანეთის მაგიერ , მხოლოდ119 მანეთი შეგროვდა.

1884 წელს სოფელ წინარეხში (გორის მიზრა) გაიხსნა სკოლა, რომელშიც პირველ წელს 34 მოწაფე სწავლობდა და მათგან 20 ქალი იყო. ეს აიხსნება ერთი მხრივ იმით , რომ მასწავლებლად ამ სკოლაში ქალია (სალომე მარალაშვილი, ვ.გ.) და მეორე მხრივ იმით , რომ იგი ქალებს ხელსაქმესაც ასწავლის“.

წინარეხის სკოლის არსებობას მალე საფრთხე დაემუქრა. საქმე ის იყო რომ სკოლა სასწავლო ოლქისგან ნებართვის მიღების იმედით გაიხსნა. სასწავლო ოლქმა არ დაამტკიცა სკოლისათვის „წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ შედგენილი გეგმა და მოითხოვა 1881 წლის გეგმის უცვლელად მიღება, ამ გეგმით პირველი წლის მეორე ნახევრიდან სწავლება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო, ეს მოთხოვნა კი ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების წესდების მესამე მუხლს, რომლის თანახმადაც აღნიშნული საზოგადოება თავის სკოლებში სწავლებას ქართულ ენაზე წარმართავდა.

1882 წელს გამგეობამ თბილისი სახალხო სკოლების დირექციას გაუგზავნა პასუხი, რომელშიც მიუთითებდა ამ მუხლზე და მოაგონებდა მას საზოგადოოების უფლებაზე - გაეხსნა ქართული სკოლები. პასუხად დირექტორი დარსკი აცხადებდა, რომ სკოლა დაიხურებოდა, თუ იქ ოფიციალურად არ შემოიღებდნენ 1881 წლის სასწავლო გეგმას. 1882 წლის 2 ნოემბერს საზოგადოების ახლად არჩეული თავმჯდომარე ივანე ბაგრატიონ - მუხრანსკის თავმჯდომარეობით შედგა გამგეობის სხდომა , რომელზეც ამ საკითხთან დაკავშირებით ფართო სჯა - ბაასი გაიმართა. ი. გოგებაშვილი დათმობის გზას ადგა. ისი ამბობდა, უმჯობესია დროებით დავთანხმდეთ 1881 წლის გეგმაზე, ვიდრე ახალ გახსნილი სკოლა დაგვიხურონო. ილია ჭავჭავაძე წინააღმდეგი წასულა:

„ბიჭებს რომ თავი მოარღვიო, ბოლომდის რღვევით წავა, თუ ერთხელ დავუთმეთ, მეორედაც მოგვიხდება დათმობა. ჩვენ იმედია, გავმართლდებით უმაღლესი მთავრობის წინაშე, ამ შემთხვევაში დირექციიისა და სასწავლო მთავრობის ნება მოქმედებს და არა კანონი. თუ კანონიერად ითხოვს , რასაც ითხოვს, მაგას ვერავინ ვერ დაათმობინებს“.

ამას ის მოჰყვა , რომ 1883 წლის შემოდგომაზე წინარეხის სკოლა დახურეს და მან დიდი ბრძოლლის შემდეგ , მხოლოდ1884 წლის იანვარში გაანახლა მუშაობა. წინარეხის სკოლის პირველ მასწავლებლად მუშაობდა ალექსანდრე გაგლოშვილი. პირველ წელიწადს სკოლაში 36 მოსწავლე სწავლობდა.

1883 წლის 28 ნოემბერს გაიხსნა თონეთის სკოლა , რომელშიც ჩაირიცხა 56 მოსწავლე (პირველ განყოფილებაში 36 მოსწავლე , მეორე განყოფილებაში - 25, აქედან 14 ქალი იყო. ამ სკოლის პირველ მასწავლებლად დაინიშნა ბ. ჭილაძე , გორის საოსტატო სემინაარიის კურსდამთავრებუილი (საზოგადოების სტიპენდიანტი). საზოგადოების 1884 წლის ანგარიშში ბ. ჭილაძის პედაგოგიურ მუშაობას მაღალი შეფასება აქვს მიცემული:

„მასწავლებელი ძლიერ ბეჯთად ეკიდება თავის საქმეს და სკოლას კარგად აწარმოებს ... მასწავლებელს ჯამაგირად ეძლევა 300 მანეთი. ამას გარდა გულმოდგინედ მეცადინეობისთვის შარშანდელის წლის განმავლობაში მისცა მას ჯილდოდ 30 მანეთი.

მასწავლებლის ბეჯითობას უნდა მივაწეროთ, რომ მან გამართა საკაზმავი სახელოსნო სკოლასთან , რისთვისაც მმართველობამ უყიდა საკაზმავი მასალა და იარაღები... და ცხადია ამ სკოლის თითქმის ყველამ იცის ხელობა“. (კლიაშვილი,1991:67-68).

თავდაპირველად თონეთის სკოლა დაქირავებულ სახლში იყო ერთი წლის მანძილზე აშენდა კარგი შენობა, რომელიც 1885 წელს შევიდა ექსპლოატაციაში . 1886 წელს სკოლაში 52 მოსწავლე სწავლობდა , აქედან -14 ქალი.

თონეთის სკოლასთან დაკავშირებულია დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას (ლუკა რაზიკაშვილის) პედაგოგიური მოღვაწეობა. თონეთის სკოლის მასწავლებლად დანიშვნამდე (1886) ლუკა რაზიკაშვილი მასწავლებლობდა

ტოლათსოფლის სკოლაში, რომელიც „კავკასიაში მართმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა.

1886 წელს დიდ თონეში მასწავლებლად ახლა დანიშნული ლ. რაზიკაშვილი სწერს გამგეობას:

„ სოფელ თონეთში ახალი სკოლის შენება დასრულდა 15 ნოემბერს; ამ რიცხვიდანვე დაიწყეს მასში მოსწავლეთა სწავლა. შენობა უნაკლოდ არ არის გაკეთებული და სამკოდაშვილი, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული სკოლის შენობის გაკეთება, ამისთვის იმან კონტრაქტის ძალით , რვა წელიწადი უნდა უხარჯოთ დუქანი ამუშაოს ს. დ. - თონეთში. ძმანი სამკოდაშვილები დუქანს ამუშავებენ, თუმცა სკოლის ნაკლულოვანება არ შეუვსიათ“. (კლიაშვილი,1991:68)

ლუკამ პირველ პერიოდში კარგად წარმართა საქმიანობა, რასაც ადასტურებს 1887 წლის ოქტომბერში გამგეობის წევრის იაკობ მანსვეტაშვილის მიერ სკოლის შემოწმების მასალები.

„ სკოლამ და ყმაწვილებმა ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონიეს ჩემზედ , - წერს ი. მანსვეტაშვილი , - სასიამოვნო სანახავი იყო ღია, მხიარული , ცოცხალი სახე ყმაწვილებისა , იმათი სიცოცხლით სავსე მიხვრა - მოხვრა, თამამად, გაბედვით , მკაფიოდ და თან გულუბრყვილო სიტყვა პასუხის თქმა. მასწავლებელს თამამად ეპყრობიან და ამასთანავე დისციპლინაც კი მშვენივრად არის დაცული. ეტყობა, მასწავლებელს შიშით კი არა სიყვარულით მოუნადირებია თავისკენ. ერთ-ორი კვირის მოსული ყმაწვილები წესსა და რიგს არიან მიჩვეულნი. პასუხს რიგიანად იძლევიან და ეტყობათ ესმით რაზედაც პასუხს ამბობენ და არა თუთიყუშებივით გაუზეპირებიათ... სასწავლო საგნები საზოგადოდ კარგად აქვთ გავლილი“(სახალხო განათლება, 1955:226).

თუ მოსწავლეებს უყვარდათ ვაჟა, მტკიცე ხასიათისა და მებრძოლი სულისათვის ის სძულდა სოფლის მამასახლისს, რომელიც ზედიზედ აგზავნიდა დამაბეზღებელ წერილებს. „წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ სკოლის შესამოწმებლად გაგზავნა ალექსი მირიანაშვილი. მას ლუკა რაზიკაშვილი ადგილზე არ დახვდა და მოწაფეთა ცოდნა მამასახლისის თანდასწრებით შეამოწმა . ალ. მირიანაშვილის მიერ

შედგენილ მოხსენებით ბარათში ძირითადად დასტურდება მამასახლისის განცხადებაში აღნიშნული ფაქტები . კერძოდ მასწავლებლის მიერ გაკვეთილების ხშირი გაცდენა, უხეშობა, მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე და სხვა.

1891 წლის 11 ივნისს გამგეობის სხდომამ მოისმინა ალ. მირიანაშვილის ინფორმაცია სოფელ თონეთის სკოლის შემოწმების შესახებ და ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა, მასწავლებელ ლუკა რაზიკაშვილის განთავისუფლება. ოქმის დასასრულს გაკეთებულია შენიშვნა, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასულან ა. ჭყონია, ნ. ცხვედაძე, გრ. ვოლსკი და ნ. ფავლენიშვილი.

ლუკა რაზიკაშვილმა ახალი კომისიის დანიშვნა მოითხოვა სკოლის მუშაობის შესასწავლად , მაგრამ გამგეობის 1883 წლის 25 აგვისტოს სხდომამ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა . გამგეობის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) ი. მაჩაბელი, ასეთია : „ თხოვნა ლ. რაზიკაშვილისა დარჩეს უყურადღებოდ და მოიძებნოს ახალი მასწავლებელი“.

თონეთის საზოგადოებამ ოფიციალური განცხადება გაუგზავნა საზოგადოების გამგეობას და ითხოვა ლიკა რაზიკაშვილის დატოვება, მაგრამ ეს განცხადებაც უყურადღებოდ დატოვეს. საზოგადოების სახელზე ამ სკოლაში მასწავლებლად დანიშვნის თხოვნით რამდენიმე განცხადება შევიდა (ს. კანდელაკი, ზ. მურადოვი, ივ. წიკლაური, ს. კონსტანტინოვი). საზოგადოებამ უპირატესობა ი. წიკლაურს მისცა.

1884 წლის პირველ ოქტომბერს გაიხსნა ხელთუბნის სასოფლო სკოლა. სკოლის საზეიმო გახსნისას მხურვალე სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა :

„ცხადია მტერს პირდაპირ მომავალს , შეუპოვრად მიეგებები, - მაგრამ რა ვუყოთ უჩინარს მტერს, რომელზედაც თვალი ახვეული გვაქვს, ეს უჩინარი მტერი არის უმეცრება და უსწავლელობა. - სანამ ამას არ მოვიშორებთ , თვალი არ გაგვეხილება. თვალის ასახელათ კი სულ სხვა გვარი იარაღებია საჭირო და ის იარაღებია აი ამისთანა სახლებიდან უნდა გამოიტანონ თქვენმა შვილებმა, რომ თქვენი ხვედრი აიცილონ, თორემ ხომ ხედავთ რა გემართებათ დღეს:

გიყვართ თქვენი მიწა - წყალი და ვერ უვლით! - შრომობთ და ბარაქა არ არის ... თუ გინდათ, რომ თქვენს შვილებსაც თქვენისთანა დღე არ ადგეთ ამ სასწავლებელს მოსჭიდეთ ხელი, ეს არის თქვენი ერთადერთი გამომხსნელი. აქ გამოზარდეთ შვილები და ისიც სიყვარულით მოგიხსენიებენ".(წერეთელი, 1961:258).

სკოლის მასწავლებლად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული სეით გამრეკელი. პირველ წელს სკოლაში 26 მოწაფე ჩაირიცხა, რომელთაგან ცხრა გოგონა იყო. სკოლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 460 მანეთს, აქედან დიდი წილი ანა მიხეილის ასულ თუმანიშვილის შემოწირულობაზე მოდიოდა . მოსწავლეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1887 წლისთვის სკოლაში 44 მოწაფე იყო (მათ შორის 16 ქალი).

80-იან წლებში სამეგრელოში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. ცარიზმის მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სამეგრელოს მოსახლეობა მათ არაქართველობაში და მეგრული ენის შემოღების საჭიროებაში. ამიტომ საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა სამეგრელოში ქართული სკოლის გახსნა , რასაც მოსახლეობაში ქართული სულისკვეთების გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. აკ. წერეთელმა ძველ სენაკში სკლის გახსნის იდეა ჯერ კიდევ 1873 წელს წამოაყენა.

„დღეს რადგანაც მარტვილის სასწავლებელი დაიწვა, სულ თურმე აპირებენ სამეგრელოში იმ სასწავლებლის მოშლას და ქუთაისში გადატანას. ეს მოქმედება, არა ვითარის გარეშე აზრის , არ ჩაითვლება მოხერხებულათ, რადგანაც სარგებელზე მაშინ ვნებას მეტს მოიტანს. აი რა გვარათა: ვინც მდიდარია და შეძლება აქვს, იმას შეუძლია პირდაპირ და ან ამ შკოლაში გათავების შემდეგ წაიყვანოს შვილი ქუთაისის სასწავლებელში. ამას კიდეც ასე ასრულებენ . მაგრამ ვისაც შეძლება არა აქვს , მისთვის სულ სხვა ანგარიშია. სამეგრელოში აქვე თავის სახლში იაფად დაუჯდება შვილის შენახვა , და ქუთაიში წამოყვანის შეძლება კი არ ექნება და სულ თავს დაანებებს მის გამოზრდას. ...ჩვენი აზრით ის სკოლა უნდა გაიმართოს ძველ სენაკში, სადაც ჰავაც უკეთესია და როგორც შუაგული უფრო მოხერხებულია მეგრელებისთვის" (წერეთელი,1960:220-221).

1884 წელს ქუთაისის სააზნაურო სკოლის ერთი მოსამზადებელი განყოფილება გადაიტანეს სოფელ ძველ სენაკში (სენაკის მაზრა), მას მეორე განყოფილებაც დაემატა და დაარსდა ორგანყოფილებიანი სკოლა. მალე მას მესამე და მეოთხე განყოფილებები დაემატა და იქცა სრულ მოსამზადებელ სასწავლებლად . ერთ წელიწადში ადგილობრივი სახსრებით აშენდა სკოლის საკუთარი შენობა.

„ იმ ადგილზე , რომელიც დაუთმო უსასყიდლოდ თავადმა სამეგრელოსამ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანმა“.

„წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ აკაკი წერეთელს სთხოვა მონაწილეობა მიეღო სკოლის ახალი შენობის საზეიმო კურთხევაში და სიტყვა წარმოეთქვა, რაც დიდმა პოეტმა კმაყოფილებით იკისრა.

„ვალდებული ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, - თქვა აკაკიმ, - გავიცნოთ ჩვენი მამა - პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!.. ის ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს როგორ-ღა შეისწავლის?.. საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აგვამაღლებს ჩვენ ზნეობრივად, აგვევსება გული სიმართლითა და სიყვარულით ... მაშინ შეგვეძლება, ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ. ვინც გვეძმება - ვეძმოთ.

სად უნდა შევიძინოთ ესეები ყველა? იმ ახალ ტაძარში , რომელსაც ჩვენ სასწავლებელს ვეძახით და ერთი რომელთაგანი დღეს აქ ვაკურთხეთ. დიაღ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავისი თავი და მიხვდნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი , ძმები ვართ: სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნო შეხორცებული. ვიმეორებ აქ , ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის კერძოდ, თუმცა იმერულია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოდ მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მქონე, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად , იგივე ქართველია და თავის კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას“.(წერეთელი, 1961:271-275).

ძველი სენაკის სკოლის გახსნა დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდების სწავლებასა და აღზრდის საქმეს.

სამეგრელოს აზნაურობამ სასკოლოდ ასაშენებელი ფულიც გააწესა. მათ შორის აღმოჩნდა გულუხვი თავადი (მელიტონ დადიანი) , რომელმაც ასი მანეთი შესწირა სახლის ასაშენებლად.

ძველი სენაკის სკოლის საქმეები კარგად მიდიოდა. სწავლა-განათლება მყარ ეროვნულ საწყისებზე იყო აგებული. ამას გულგრილად ვერ უყურებდნენ მთავრობის განათლების მოხელენი. პირველ რიგში, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორი ფ. ლევიტსკი. მან ძველი სენაკის სააზნაურო სკოლას გაუგზავნა მიწერილობა, რომელშიც წინადადებას იძლეოდა, რომ სკოლის სწავლა ყოფილიყო მეგრულად, ხოლო ქართული ენა მეორე წლის დასაწყისიდან ესწავლებინათ. ამ წერილს პროტესტით შეხვდნენ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, მთელი სოფლის მოსახლეობა. სოფლის ინსპექტორმა სამსონ ყიფიანმა ლევიტსკის გაუგზავნა საპასუხო წერილი, სადაც ასაბუთებდა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას.

ს. ყიფიანმა ამ მიწერ-მოწერის შინაარსი გააცნო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც ეს საკითხი სპეციალურად განიხილა 1886 წლის 14 ნოემბერს. საზოგადოების თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს ოქმშიი თავისი ხელით ჩაუწერია:

„გამგეობამ განიხილა რა მიწერ-მოწერა სენაკის სკოლის ინსპექტორისა, დაინახა, რომ ინსპექტორის პასუხი დაფუძნებულია კანონით მინიჭებულ უფლებაზედ და თვით სკოლა, ვითარცა განყოფილება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლისა არსებობს და მოქმედებს ამ კანონიერ უფლების მიხედვითა, ამიტომაც გამგეობამ დაადგინა: მიეწეროს ინსპექტორს ამ კანონიერ საფუძველიდან არ გადავიდეს , ყოველივე შემდეგი მიწერ- მოწერა დირექტორის მიმართ ამ კანონიერ საფუძველზედ დაამყაროს და როცა დირექცია საჭიროდ დაინახავს პირდაპირ გამგეობას გამოელაპარაკოს ამ საგანზედ, მაშინ თვითონ გამგეობა ვალდებული იქნება წარუდგინოს დირექციას თავისი კანონიერი საბუთები“.(წერეთელი, 1961:271-275).

1887 წელს ლევიტსკი უგზავნის ს. ყიფიანს ა. გერენის მიერ შედგენილ მეგრულ ანბანს და ავალებს გაეცნოს მას. ეს წერილი განიხილა საზოგადოების გამგეობამ და ილ. ჭავჭავაძემ გამგეობის დადგენილება ასე ჩაწერა ოქმში:

„მიღებულ იქნან სკოლაში მხოლოდ ის მეგრელი ყმაწვილები , რომელთაც ქართული ლაპარაკი და წერა - კითხვა იციან; შეუძლიანთ მიიღონ ასევე ისინიც, რომელთაც ქართული ენა არ იციან, თუ დედ - მამა ამ ყმაწვილებისა თანახმა იქნებიან, რომ სწავლა ქართულ ენაზე დააწყებინონ“.(წერეთელი, 1961:271-275).

ამ წერილთან დაკავშირებით სამსონ ყიფიანმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა , მაგრამ ძველ სენაკის მოსახლეობამ თავად მხეიძის პირით გამგეობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ ეს თხოვნა არ დაეკმაყოფილებინათ. პირადად ილია ჭავჭავაძის თხოვნით ს. ყიფიანი სენაკში დარჩა. მხეიძის განცხადებას ილ. ჭავჭავაძემ შემდეგი წარწერა გაუკეთა:

„რადგან პატივი დასდო ბ.ნ. ყიფიანმა გამგეობის თხოვნას და სკოლაში თავის თანამდებობაზე დარჩენას დასთანხმდა, მიეწეროს ბ.ნ. მხეიძეს , რომ მისი სურვილი შესრულებულია“.

1891 წელს ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლას ჰყავდა ინსპექტორი და 5 მასწავლებელი. სკოლაში ამ დროს სწავლობდა 106 მოსწავლე (პირველ განყოფილებაში - 19, მეორეში - 31, მესამეში - 32, მეოთხეში - 24). სკოლის ინსპექტორი ს. ყიფიანი ასწავლიდა რუსულ ენას და საღმრთო სჯულს, ი. გოგებაშვილი - ქართულ ენას და არითმეტიკას, ლ. აღლაძე - ყველა საგანს პირველ განყოფილებაში , ი. ნიკოლაიშვილი - ქართულ ენას, ხატვას და გალობას, მ. ბურჯანაძე - მეორე განყოფილებაში რუსულს, ქართულს და არითმეტიკას, ს. მჭედლიძე - ქართულ ენასა და წერას.

ქართულ ენასა და კულტურას საფრთხე ემუქრებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ამ დროს ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ქართველი ბავშვებისთვის საკუთარი სკოლის დაარსების ინიციატივა იკისრა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და პედაგოგმა მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა. 1888 წლის 30 მაისის სხდომაზე „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „ გამგეობამ

განიხილა მ. ზ. ყიფიანის წერილი კავკავში (ახლანდელი ორჯონიკიძე) ქართული სკოლის გახსნის შესახებ. გამგეობა საპასუხო წერილში ვალდებულებას კისრულობდა მომავალი სკოლისთვის გამოეყო ერთდროულად 200 მანეთი, გამოენახა მასწავლებელი და ყოველწლიურად ეგზავნა წიგნები მოსწავლეებისთვის. მიუხედავად ასეთი მცირე დახმარებისა, კავკაველმა ქართველებმა მაინც შეძლეს სკოლის გახსნა.

1888 წლის 20 ოქტომბერს გაიხსნა კავკავის ქართული სკოლა. გამგეობამ მასწავლებლად დანიშნა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ივანე ბეღელაძე. 1892 წელს ი. გოგებაშვილის წარდგინებით სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ცნობილი ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე. 1890 წელს ამ სკოლის სამ განყოფილებაში 44 მოწაფე სწავლობდა , 1896 წელს კი - 100 (აქედან 35 ქალი). კავკავის ქართულმა სკოლამაც დიდი ამაგი დასდო ქართველი ახალგაზრდების სწავლა- განათლების საქეს.

„ ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ სულ 33 სკოლა გახსნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში (ქუთაისში, თბილისში, ბათუმში, წინარეხში, თონეთში, ძველ სენაკში, ხელთუბანში, კავკავში, გომარეთში, რეხში, ყალამშიში, გიორგიწმინდაში, საგურამოში, სტეფანწმინდაში, ბაქოში, ნავთლუღში, გერგეთში, სოხუმში, თელავში, ატენში, შრომაში (სიღნაღის მაზრა), ფოთი, აკურთაში (ბორჩალოს მაზრა) ბორბალოში (თბილისის მაზრა) , ვარიანში , ნალჩიკში, ზუგდიდში, ნუკრიანში (სიღნაღის მაზრა), არმავირში.

1884 წლის ანგარიშის მიხედვი საზოგადოებას ყველაზე ძვირი უჯდებოდა ჯერ ბათუმის (1 700 მან.) , შემდეგ კი ხელთუბნის (700 მან.) სკოლების შენახვა, ხოლო წინარეხისა და თონეთის სკოლებისათვის წლიურად ის მარტო მასწავლებლის ხელფასის ნაწილს და რამდენიმე ათეული წიგნის საფასურს იღებდა (350 მანეთი თითოეულს), გარდა სკოლების შენახვისა, ამ წელს საზოგადოებას 6 600 მანეთი გაუღია წიგნების დასაბეჭდად (1 500 მან.), სკოლების დასახმარებლად (500 მან.), საკანცელარიო და ბინის ქირისთვის (400 მან.), მდივნის ხელფასის და მოულოდნელი ხარჯებისთვის (1 100 მან.).

რაკი სკოლების მასობრივად დაარსებას ვერ ახერხებდა, საზოგადოება ისევ ოფიციალურ სოფლის სკოლებს ეხმარებოდა. ყოველწლიურად 30 – 50 სკოლას ეგზავნებოდა უფასოდ ქართული სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა, ეძლეოდა ფულადი დახმარება ხელმოკლე მოსწავლეებს. საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურად ეხმარებოდა ხეთის, მეტეხის, კავთისხევის, ახალგორის, ბარალეთის, ხერთვისის, ხიზაბავრისა და სხვა სხვა სკოლებს. მაგრამ ეს გზა ეკლიანი და ხიფათიანი აღმოჩნდა: თბილისისა და ქუთაისის სკოლები კატეგორიულად კრძალავდნენ მათს უკითხავად წიგნების გაგზავნას სამინისტროს სკოლებში. 1884 წელს თბილისსის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორი გამგეობას სწერდა:

„ საზოგადოების მიერ სკოლებისთვის შეწირული წიგნები უნდა გადაეცეს დირექციას სრული დასახელებით მისი შეხედულებისამებრ სკოლებში გასაგზავნად, წიგნები და დამხმარე ლიტერატურა უნდა იყოს მოწონებული სკოლებში სახმარებლად სამინისტროს მიერ. მოწონებული წიგნების სია იბეჭდება განათლების სამინისტროსს ჟურნალში“.(წერეთელი, 1961:275).

ასევე იქცეოდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საეკლესიო - სამრევლო სკოლებს, სადაც პირველ ორ წელს მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ. 1893 წელს დახმარება გაეწია ხეთის , 1896 წელს - ახალციხის, 1897 წელს - გურია - სამეგრელოს სამრევლო სკოლებს და სხვა. ქართული სკოლების ქსელის გაფართოება სათანადო სახელმძღვანელოებს და დამხმარე წიგნებს მოითხოვდა, ამიტომ საზოგადოების გამგეობამ თავიდანვე აიღო სასწავლო წიგნების შექმნისა და გამოცემის კურსი. პერიოდულად ცხადდებოდა კონკურსი და წესდებოდა პრემიები საუკეთესო სახელმძღვანელოებისთვის.

პირველდაწყებითი არითმეტიკის სახელმძღვანელოებისთვის დაწესდა 150 მანეთი პრემია, პირველდაწყებითი გეოგრაფიისთვის - 300 მანეთი, და ა. შ. სახელმძღვანელოების წარდგენის უკანასკნელ ვადად დაინიშნა 1881 წლის პირველი თებერვალი. გამგეობის წევრები ი. ჭავჭავაძე, ი. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. უთურგაული და სხვები ამოწმებდნენ და რეცენზიებს წერდნენ შემოსულ სახელმძღვანელოებზე.

ი. გოგებაშვილმა თავისი უკვე სახელმოხვეჭილი სახელმძღვანელოების გამოცემის უფლება საზოგადოების გამგეობას გადასცა ამ უკანასკნელისთვის მეტად ხელსაყრელ პირობებში. ამან საზოგადოების მატერიალური პირობები მეტად გააუმჯობესა.

1886 წელს სოფელ საგურამოში შემდგარ სხდომაზე გამგეობამ გადაწყვიტა საკუთარი სტამბის მოწყობა და ამ მიზნისთვის 15 ათასი მანეთი გამოიყო. ეს გადაწყვეტილება ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობისა და ფინანსური სიძნელეების გამო იმხანად არ განხორციელებულა.

რაკი საკუთარი სტამბის დაარსება იმ ხანად ვერ მოხერხდა , მთელი ყურადღება იმაზე გადაიტანეს , რომ სხვა პირებისა თუ დაწესებულების სტამბაში დაებეჭდათ გამგეობის მიერ მოწოდებული სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები. საზოგადოება, როგორც ვთქვით, პერიოდულად გამოსცემდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთელის, ვაჟა ფშაველას ნაწარმოებებს, ი. მაჩაბელი, გ. იოსელიანის თარგმანებს და სხვა. საზოგადოება ძირითადად პატარა მოცულობის წიგნებით კმაყოფილდებოდა.

ქ. შ. წ.-კ.გ. საზოგადოების ბიბლიოთეკა - სამკითხველოები

1880 წლის ანგარიშში ვკითხულობთ:

„საზოგადოების მმართველობამ გადაწყვიტა ბიბლიოტეკის გამართვა საზოგადოების წევრთათვის და საყოველთაო საკითხავადაც, რადგან წესდების საზოგადო აზრით ბიბლიოთეკა , რომელიც სახეში აქვს წესდების პარაგრაფით , უნდა იყოს, უმეტეს ნაწილ მაინც, შემდგარი ქართული წიგნებისაგან და ქართული წიგნები კი უმეტესად ხელნაწერები არიან და დღითი - დღე თანდათან იკარგებიან, საჭირო იყო მმართველობა ეხლავე შესდგომოდა და ამ ბიბლიოთეკის გამართვას და შეეკრიბა ერთ ადგილს ეს ქართული ძველის და ახლის ლიტერატურის ნაწარმოები. მმართველობას იმედი აქვს, რომ ყოველი წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა აღმოუჩენს წიგნების შეწირვით შემწეობას.“ (წერეთელი, 1961:271-275)

ამასთან, საზოგადოებამ შეადგინა ხელნაწერთა შეგროვებისა და წიგნების შემოწირვის წესი, რომელიც პრესაში გამოაქვეყნა. ამ მიმართვას და პრესაში გამოქვეყნებას დიდი გამოძახილი მოჰყვა. ამავე წლის ივნისში რაფიელ ერისთავმა, ი. გ. ზუბალაშვილმა, კ. ი. ბაგრატიონ - მუხრანსკიმ, დ. ი. მუსხელიშვილმა, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ საზოგადოებას ბიბლიოტეკის დაარსების მიზნით შესწირეს წიგნები და ფული.

1881 წელს ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ექ. ხელაძემ, რ. ინაშვილმა, ი. მაჩაბელმა და სხვებმა საზოგადოებას შესწირეს წიგნები , ხელნაწერები და ფული. აფხაზეთის საზოგადოებამ გრიგოლ შერვაშიძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით წერა-კითხვის საზოგადოებისთვის შეაგროვა 186 მანეთი. 1882 წელს საზოგადოებას თავის ბიბლიოთეკაში ჰქონდა 473 წიგნი, აქედან ხელნაწერი - 173 და დაბეჭდილი - 300.

1882 წელს საზოგადოების გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელი შეეწყო ყოველი სოფლის სკოლასთან ბიბლიოთეკის დაარსებისთვის და შეიმუშავა წესი ასეთი ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ. ლუბა გიორგის ასული გაწერელია წერს საზოგადოების გამგეობას :

„ ხანგრძლივმა ჩემმა ცხოვრებამ სამეგრელოში უკანასკნელის დროის გასავრცელებლად და განსამტკიცებლად ქართული ენისა, გამოიწვია ჩემში სურვილი დაარსებისა ამ ხალხისათვის სოფელს მარტვილში, როგორც უფრო შესაბამის ადგილში, სახალხო უსასყიდლო წიგნთ - საცავ - სამკითხველოსა, ამაზედ მე გამოვითხოვე ქ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისგან ნებართვა და კიდეც მივიღე მისგან კანონიერი მოწმობა 19 თებერვლიდან 1896 წლის N 650. გარნა, ვინაითგან დაარსება და შემგომი შენახვა ესრეთია სახალხო უსასყიდლო წიგნთ-საცავ-სამკითხველის შესაძლებელ არს მხოლოდ კეთილ-მნებელობით შემოწირველთა პირთაგან დახმარებით, უმორჩილესად გთხოვთ მოწყალეთ ხელმწიფევ, მიიღოთ შრომა და ჩემს მაგიერ მიმართოთ ქ. თფილისში მცხოვრებთ ჩვენის ხალხის განათლებისათვის მოღვაწეთა პირთა, რომ მათ მომცენ ამ კეთილს საქმეში შემწეობა ფულით, წიგნებით და გაზეტების გამოწერით“.(წერეთელი, 1961:271-275)

ამ ბიბლიოთეკის რწმუნებულ პირად არჩეული დავით ასათიანი გამგეობას სწერს:

„გამგეობას უთუოდ ეცოდინება რამდენი მტერი ყავს ქართულ ენას სამეგრელოში, სადაც ყველა სამინისტრო სასწავლებელში ქართული ენის სწავლება მოსპობილია! ერთად ერთი საშუალება სამეგრელოში ქართული ენის გამაგრებისა არის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები... სრული იმედი მაქვს, რომ წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მიაქცევს მარტვილის წიგნთსაცავს განსაკუთრებულ ყურადღებას და აღმოუჩენს მას ჯეროვან შემწეობას“.(წერეთელი, 1961:271-275).

საზოგადოების გამგეობამ ეს ბიბლიოთეკა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოაქცია და პერიოდულად უგზავნიდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ასეთივე წიგნთსაცავ- სამკითხველო გაიხსნა 1896 წელს სოხუმში ანთიმოზ ჭუღელის მეცადინეობით. ბიბლიოთეკის შესაწევად გაიმართა ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაეცა მას წიგნების ფონდის გასაზრდელად.

სოფ. ოქუმში (სამურზაყანო) ცნობილმა სახალხო მასწავლებელმა ივანე გეგიამ თავისი ხარჯით ააშენა ბიბლიოთეკის შენობა. საზოგადოების გამგეობის სახელზე გაგზავნილ წერილში ის წერს:

„ქართული წიგნთსაცავის დაარსება ამ მივიწყებულსა და უპატრონო მხარეში დიაღ საჭირო იყო და არის დღესაც. ისევ წიგნთსაცავი თუ არ დაავიწყებს აქაურებს ქართულ წერა-კითხვასო“.

1892 წელს სამკითხველო გაიხსნა დაბა ლანჩხუთში, 1893 წელს - ს. აკეთში (ოზურგეთის მაზრა), 1896 წელს - სოფელ ქსოვრისში (დუშეთის მაზრა), და ახალქალაქში. სულ საზოგადოებამ 1917 წლამდე დაარსა ასზე მეტი ბიბლიოთეკა (ქ. თბილისში -6, ქუტაისში, ახალციხეში, დიდ ჯიხაიშში , შილდაში, ხონში, ახალსენაკში, ყვირილაში, ბაწოში, ბოდბეში, შემოქმედში და სხვა).

ამრიგად, საქართველოში ცარიზმის ბატონობის პერიოდში სასკოლო ქსელის გაფართოების მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.“ ეს საზოგადოება არაფორმალურად წარმოადგენდა ე.წ. „განათლების სამინისტროს“, რომელსაც

ურთულეს პირობებში უწევდა საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა. სწორედ ამ დაწესებულების მეშვეობით მოხდა საქართველოს ძალიან ბევრ რეგიონში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის ზრდა, ელემენტარული მეცნიერული საწყისების ფორმირება, რასაც ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თავი II

"ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საგანმანათლებლო საქმიანობა აჭარაში

ოსმალთა სამასწლიანი მძიმე ბატონობისგან გათავისუფლებულ აჭარის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართული ენა და ტრადიციები ჯერ კიდევ მტკიცედ ჰქონდა შემონახული და გაცნობიერებული ის, რომ ისინი საქართველოს შვილები იყვნენ.

აჭარაში რელიგიური ფანატიზმის ყველაზე უფრო ნეგატიური გამოვლინება სარწმუნოებისა და ეროვნულობის გაიგივებაში გამოიხატებოდა. კერძოდ, მძიმე ვითარებას ქმნიდა ის აზრი, რომ მუსლიმანს ეროვნება არ აქვს. ამ რეაქციულ თეორიას ძალით ნერგავდნენ ისლამის რჯულის ფანატიკოსები და მისი დამახასიათებელი სიმპტომებით დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ ქართველთა სულიერი ერთობის ჩამოყალიბებას.

ნანი გუგუნავა სამართლიანად წერდა: „როგორც ცნობილია, მუსლიმანური სარწმუნოების მქადაგებლები აიგივენდნენ რელიგიასა და ეროვნებას და მორწმუნეებს შთააგონებდნენ, რომ მუსლიმანს ეროვნება არ აქვს. მთავარია, ისი იყოს მუსლიმსნი. ასეთი მრწამსის მქონე ადამიანისათვის ძნელი გასაგებია განსხვავება ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის. ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრება კი საუკუნეების მანძილზე იყო ბრძოლა ქართველებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.“

მსოფლიოს ისტორიის გადასახედიდან ვრწმუნდებით ერთ საყოველთაო ჭეშმარიტებაში - ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათის, კულტურისა და ენერგიის სრულად გამოსავლენად აუცილებელია თავისუფლება, ტერიტორიული და იდეოლოგიური ერთიანობა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ ერს ყოველთვის როდი ჰქონდა განვითარების ეს ხელსაყრელი პირობები. თუმცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არსებობს იმის თვალსაჩინო მაგალითებიც, როცა ქართველობას სრული შეგნებით გაუცნობიერებია ეს ზოგადსაკაცობრიო ჭეშმარიტება და ხანგრძლივი ბატონობის პირობებშიც ავითარებდა თავის სულიერ კულტურას , რისი გამოხატულებაა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის , ნიკო ცხვედაძის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვათა მოღვაწეობა.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ნათლად ხედავდა დედასამშობლოსთან ახლადშემოერთებულ აჭარის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას და აცნობიერებდნენ, თუ რა დიდი მუშაობა უნდა გაწეულიყო აჭარის მოსახლეობაში ეროვნული მეობის ჩამოყალიბების, აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვის და ძირძველი ქართული ტრადიციების განახლებისთვის.

აჭარის მოსახლეობას დამოუკიდებლად არ შეეძლო ოსმალთა ბატონობისგან გამოწვეული ჩამორჩენილობის დაძლევა. ამას აჭარის მოსახლეობის ღირსეული შვილებიც კარგად გრძნობდნენ და ითხოვდნენ დახმარებას , ხელი გამოეწვდინათ მათთვის.

მართლაც, ქართველთმა რჩეულმა ნაწილმა ყურად იღო აჭარელთა გასაჭირი და სამოქალაქო პრაქტიკული გეგმებიც დაისახა. დიდმა ილიამ ქართველ მოწინავე ინტელიგენციას ასე მიმართა: „ ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყველაფერში; უნდა, იმათთვისაც ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ , ჭირში მივეშველენით, ჩვენი ერთმანეთის დაურღვევლის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით ქართველობავ! რა გაგვიხსნის გზას მაგკავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა თქვა ჩვენც ვიტყვით, რომ ამისთვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება.“(ჭავჭავაძე 1879:5)

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ აჭარისათვის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად მთავარი მაინც ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოფხვრა იყო და მისი დაძლევის საშუალებად, უწინარეს ყოვლისა, სწავლა-განათლება იგულისხმებოდა, რადგანაც ტრადიციისამებრ, განვითარებადი და განვითარებული ქვეყნებისთვის განათლება ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ზემოთ დასახელებულ პრობლემათა დაძლევის ეფექტურ, პრიორიტეტულ სფეროს. ამ პრობლემის გადაწყვეტი სიმძიმე იტვირთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. „ცნობილია, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ხალხი არაოფიციალურად სახალხო

განათლების სამინისტროს უწოდებდა, რადგან რუსეთის იმპერიის ე.წ.საგანმანათლებლო სისტემა არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა მეტროპოლიებში მცხოვრებ, დაპყრობილი ხალხების განათლებისათვის. კიდევ მეტი, თითო-ოროლა საწავლებელი თუ არსებობდა და იქაც ქართული ენა, როგორც სწავლების ენა, გამოდევნილი იყო.“(წულიკიძე, 1982:121)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების თარიღად ოფიციალურად მიჩნეულია 1879 წლის 25 მაისი. საზოგადოებამ დაარსების დღიდან უდიდესი ამაგი დასდო ქართული ეროვნული განათლებისა და კულტურია აღორძინებას და რუსიფიკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში აქტიურად ჩაება.

რუსიფიკაციული პოლიტიკის პირობებში დედაენაზე ეროვნული სკოლის დაფუძნების იდეა დიდად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

ერთი შეხედვით იოლი, მაგრამ უაღრესად ძნელი იყო ამ იდეის განხორციელება. საბედნიეროდ, იაკობ გოგებაშვილის პრინციპული მოთხოვნებით გამოინახა გზები ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტისათვის, რასაც ხელი შეუწყო კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწემ ა. სტაროსელსკიმ, რომელიც დიდ პატივს მიაგებდა მდიდარ ქართულ კულტურას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოამზადა წესდება. წესდების ირგვლივ საზოგადოების წევრთა შორის ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მშობლიურ ენაზე სწავლების პუნქტის შეტანის საქმე შეიძლება გართულებულიყო; კერძოდ, ხელისუფლებას შეიძლება კატეგორიული უარი ეთქვა შეთავაზებულ წინადადებაზე, ამიტომ წესდების დაუმტკიცებლობის შიში ყველას აწუხებდა. სწორედ ამ პრობლემასთან დაკავშირებით წერდა იაკობ გოგებაშვილი: „ მაშინ მე ყოველი ღონე ვიხმარე დამეჯერებინა ჩემი თანამოღვაწენი, რომ თუ ამ პარაგრაფს არ შევიტანდით წესდებაში და არ მოვიპოვებდით უძირითადეს უფლებას. ჩვენი სკოლები ქვიშაზე იქნება აგებული, მახლობელ მომავალში მათში გაამეფებენუცნობ ენასა და ახალი საზოგადოების მოქმედება ფუჭი იქნება, მეთქი... „ მთელი წესდება ამ

პარაგრაფით შეწყნარებული იქნა მთავრობისაგან და კანონად დაედო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“(გოგებაშვილი, 1940:408)

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გადაწყვეტილებით საწყის ეტაპზე სკოლები უნდა გახსნილიყო ბათუმში, შავშეთსა და ქობულეთში: „ ეს ხომ საუკეთესო საშუალება იქნებოდა აჭარის მკვიდრთა გასანათლებლად, თურქთა გავლენის აღმოსაფხვრელად, მათში დედაენის გასამეფებლად.“(ხუნდაძე, 1960 :28).

თურქთა ბატონობის შემდეგ აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნა გადაწყვიტა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. ამ მიზნით აჭარაში გამოიგზავნა ამ საზოგადოების ორი წევრი გიორგი წერეთელი და ნიკო ცხვედაძე. მათ ადგილობრივი გუბერნატორის დახმარებით ადგილი სკოლისთვის , რისთვისაც საჭირო იყო მატერიალური დახმარების გაწევადა კარგი მასწავლებლის შერჩევა. საჭირო იყო ისეთი პედაგოგი, რომელიც იქნებოდა არა მარტო საგნის კარგი მცოდნე და განათლებული, არამედ ექნებოდა იმის უნარ- ჩვევებიც, რაც შეაძლებინებდა მას ფაქიზად მოპყრობოდა მოსწავლეთა თვმოყვარეობას, არ შეხებოდა მათს მაჰმადიანურ სარწმუნოენას.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ბათუმში ქართული სკოლის დაარსებას დიდი მისია ეკისრა.მას თავიდანვე უნდა ჩაესახა პატარა აჭარლების გულში , რომ ისინი ქართული მიწის ღვიძლი შვილები იყვნენ. სულით და ხორცით ქართველნი და დედაენასთან ერთად უშურველად მდიდარ ქართულ ლიტერატურასაც უნდა დასწაფებოდნენ.

ეს იყო რთული ამოცანა, რაზეც ნათელ წარმოდგენას ქმნის ჰაიდარ აბაშიძის ცნიბილი წერილი „ხმა ქრისტიან მოძმეებს.“ ჰ. აბაშიძე წერდა“ მაშ, თქვენ უნდა ეცადოთ, როგორც ჩვენი მოძმე და დღეს როგორც სწავლა-განათლებით ჩვენთან შედარებით ბევრად უფრო წინ წასულნი, დაეხმაროთ თქვენს თანამოძმეებს წერა-კითხვის შესწავლაში, რომ ამის საშუალებით გათვითცნობიერდნენისინი და თავიანთი თავი. ჩვენ დღეს თქვენგან მოველით მტკიცე საძირკველის ჩადგმას და ცხოვრების გზაზე გამოსვლას. შეიძლება ამ მუშაობაში თქვენ ბევრი

დაბრკოლება გადაგეღობოთ წინ, საყვედურები გაიგონოთ და ბევრი შრომაც დახარჯოთ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, უნდა დაეხმაროთ ჩამორჩენილ ძმებს. მით უმეტეს თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლის. ნუ შეგიშლით ხელს ნურავითარი დაბრკოლებანი, მოგვეპყარით როგორც ძმებს. წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყენეთ თქვენს გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია. ჩვენი უმეცრობა, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთი ვართ“. (აბაშიძე, 1913:12)

„ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ 1880 წლის 19 დეკემბერს წერილობით აცნობა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, რომ სკოლისათვის საჭირო შენობა უკვე ნაქირავებია. მზადაა სასკოლო ინვენტარი, სკოლის მასწავლებლად მოწვეული ჰყავთ სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი.

განისაზღვრა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინები: საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა. თვალსაჩინო სწავლება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა.

როგორც ვხედავ, სასწავლო გეგმა შესასწავლი დისციპლინებით არ არის გადატვირთული. ეს, ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ საწყის ეტაპზე უაღრესად ძნელი იყო აჭარელი ბავშვებისთვის მიეწოდებინათ მრავალფეროვანი მასალა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი არ იყვნენ დაწაფებული სრულყოფილად ქართული ენის ნექტარს; და მაინც ძირიტადი აქცენტი ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სრულიად კანონზომიერად, ქართული წერა-კითხვის უნარ-ჩვევების გამომუსავებასა და კულტურის ათვისებაზე ჰქონდა გადატანილი. ამასთან ერთად, ქართულ ენას უფრო მეტი კვირეული დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე რუსულ ენას. აი,რას წერდა გ. ნიორაძე ამის შესახებ: „ბათუმის სკოლის ასეთ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებით საყურადღებო ის ფაქტი იყო , რომ რუსული ენის სწავლებას სკოლაში იწყებდნენ მხოლოდ სწავლების მესამე წლიდან, ანუ III განყოფილებიდან, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვან პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, საღვთო

სჯულს (მაჰმადის სჯულს რ.ა.) - კი მეოთხე განყოფილებიდან.“ ნიორაძე, (ნიორაძე 1958 :14).

ერთი თვის შემდეგ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი წერილს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და სთხოვს, რომ „ ამ სკოლას ეწოდება არა „ ბათუმის სახალხო სკოლა“, არამედ „ ქართული კერძო ერთკლასიანი სასწავლებელი მე-3 თანრიგისა“, ხოლო როცა სკოლაში დაიწყება პროგრამით გათვალისწინეული ყველა საგნის სწავლება და სკოლას ეყოლება მეორე მასწავლებელიც, მასინ სკოლას ეწოდოს „ ქარტული კერძო ორკლასიანი სასწავლებელი“.იანოვსკი კატეგორიულად მოითხოვს,რომ საღვთო სჯული მე-4 განყოფილებამდე უნდა ისწავლებოდეს, ხოლო რუსული ენის სწავლება სწავლების პირველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა იწყებოდესო და აქ მას უნდა დაეთმოს ნახევარი ან სამი მეოთხედი საათიო,“(ნიორაძე, 1958:54)

იანოვსკის კატეგორიულმა მოთხოვნებმა დიდი სიძნელის წინაშე დააყენა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების გამგეობა. ბათუმში მოსული ალ. ნანეიშვილი ცდილობს გაერკვეს არსებულ მდგომარეობაში და დამაჯერებელი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოების გამგეობას. ალ. ნანეიშვილი 1881 წლის 21 თებერვალს გამგეობისადმი მიწერილ წერილში იუწყება, რომ „სკოლის გახსნა დაგვიანდა იმიტომ , რომ არ მქონდა სკოლის პროგრამა სამხედრო გუბერნატორ კომაროვისათვისო. ეს უკანასკნელი კი ითხოვს რუსული ენის სწავლებას პირველი განყოფილებიდანვე ქარტულის პარალელურად. უპროგრამოდ რომ დამეწყო მეცადინეობა, კომაროვი იმდენად უგუნურია, რომ შკოლას დამიხურავდაო“. (ნიორაძე,1958:24)

ალ. ნანეიშვილმა თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს , რომ სკოლის გახსნის დღეს ბათუმს სწვეოდა . სკოლა საზეიმოს გახსნა თბილისიდან ბათუმში საგანგებოდ ჩამოსულმა ილია ჭავჭავაძემ. ამ დღეს ბათუმის გუბერნატორს გენერალ კომაროვს მოუხმია წარჩინებული პირნი და დაუვალებია სკოლისთვის კარგი ხოჯა გამოეძებნათ; შემდეგ მადლობა გამოუცხადებია პოეტისათვის და სკოლა გახსნილად გამოუცხადებია. იმ დღეს, როგორც ცნობილია, მხოლოდ 5 ყმაწვილი დაესწრო მეცადინეობას, ისიც ჩინოვნიკთა შვილები. სკოლის

მასწავლებლად , როგორც აღინშნა, დაინიშნა ალ. ნანეიშვილი, ხოჯად კი ხ. ანანიძე.

1881 წლის 8 მაისს შეუდგენიათ ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა სია, რომელშიც გვარის , სახელის, მამის სახელის, ასაკისა და წოდების გარდა, სკოლაში მოსწავლეთა შესვლისა და სკოლიდან გასვლის თარიღბია მოცემული. სიაში მოსწავლეთა გვარები ჩამოთვლილია სარწმუნოებრივი ნიშნის მიხედვით. 30 მოსწავლიდან მართლმადიდებელია 11, კათოლიკური სარწმუნოებისა 6, მაჰმადიანი-13. მაჰმადიანი მოსწავლეები არიან : „ზია აბაშიძე -6 წლის, ულფიე აბაშიძე 9 წლის, (ერთადერთი ქალი რ.ა). შაბან ბოლქვაძე -12 წლის, მუსტაფა კაალოღლი -13 წ, ხუსეინ კაალოღლი -14 წ, აბდი აბაშიძე- 7 წ, ახმედ მელიქ-ზადე აბაშიძე - 12 წ, ალი მელიქ- ზადე აბაშიძე - 10 წ, ფევზი აბაშიძე - 8 წ, ოსმან ბეჟანიძე - 3 წ. (გუგუნავა, 1997:84)

თავდაპირველად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლაში 30 მოსწავლე ირიცხებოდა , მაგრამ შემდეგში მოსწავლეთა რიცხვმა მკვეთრად იკლო, სკოლა თითქმის დაცარიელდა. საზოგადოების გამგეობამ დაიწყო სჯა-ბაასი სკოლის დახურვაზე. გაზეთი „დროება“ ამის თაობაზე სწერდა: „გავლილ მაისში „წერა-კითხის საზოგადოების“ წლიური კრების დროს, ზოგიერთი პირები აღმოჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბათუმის შკოლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. შინ რომ მიცვალებული გყავდეს , გარეთ ტაბლას რა უნდაო (თითქოს ბათუმის ქართველები იგივე ქართველები არ არიან, როგორც ქათლ-კახეთსა, იმერეთსა და სხვა), უჯობესია სადმე ჩვენში გავხსნათ შკოლა და იქ დავხუროთო“ (გაზ. „დროება“, 1882:#270)

ბუნებრივია, აქ ასეთი კითხვა წამოიჭრება: მაინც რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართულმა სკოლამ დასაწყის ეტაპზე წარმატებას ვერ მიაღწია? რატომ ვერ შეძლეს სკოლაში მაჰმადიან მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მაინც მოეზიდათ?

მიზეზი კი შმდეგი ფაქტორით იყო განპირობებბული : თურქოფილური იდეებით შეიარაღებული ხოჯები და მოლები ამჩნევდნენ რომ, ქართული სკოლა საუკუნობით განხალკევებულ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს

შეაკავშირებდა, ამიტომ ცდილობდნენ სკოლის სამოქმედო არეალი მკვეთრად შეევიწროებინათ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ბათუმის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, შორეული სოფლიდან კი ბავშვების ჩამოყვანა პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა. პირველი ქართული სკოლის დაკნინებას ხელი შეუწყო ბათუმში გახსნილმა სამკლასიანმა სასწავლებელმაც. სადაც მასწავლებლად გამოცდილი ხოჯა ჰყავდათ მიწვეული, რამაც განაპირობა ქართული სკოლიდან ბევრი მაჰმადიანი მოსწავლის გადასვლა საქალაქო სასწავლებელში.

ბათუმის პირველი სკოლის უმძიმესმა მდგომარეობამ აიძულა ფოცხოვში მცხოვრები ნური ხიმშიაშვილი წერილი გაეგზავნა ილია ჭავჭავაძესთვის და ეთხოვა სკოლა გაეხსნათ შავშეთში, რათა მათ შვილებს ქართულ ენაზე ესწავლათ: „ - თუ ახალი სკოლა არ გაიხსნება , იგი ითხოვს ბათუმის სკოლის გადატანას შავშეთში. მით უმეტეს, მათ უჭირთ მაჰმადიან ქართველტა შეგროვება. თუ ასეთი სკოლა გაიხსნება , საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირი იხადოს, დანარცენს მე თვითონ ვკისრულობ, სკოლის სახლსა და ბინას მასწავლებლისთვის მუქთად მუივცემ და 60-80 მოსწავლეს შევკრიბავ სკოლაშიო.“

ბარათი ილიას იმავე წლის ოქტომბერში მიუღია. გამგეობამ სკოლისთვის საჭირო მიწის ფართის შესარჩევად სერგეი მესხი გამოაგზავნა ბათუმში, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩასულიყო შავშეთში, თუმცა გამოთქვამდა სურვილს საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო. 1882 წლის 19 ივლისიდან ბათუმის სკოლა ალ. ნანეიშვილისაგან გადაიბარა ახლად დანისნულმა მასწავლებელმა მოსე ნათაძემ. მან უკეთ წარმართა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუსაობის პროცესი, მოსახლეობაშიც მოიპოვა ნდობა და შესაბამისად მოსწავლეთა რიცხვმა იმატა. მან ბათუმში შეკრიბა პროგრესულად მოაზროვნე მაჰმადიანები და წერილობითი პირობა ცამოართვა მათ, რომ სკოლაში შეიყვანდნენ ბავშვებს აჭარის სოფლებიდანაც ბევრმა გამოთქვა სკოლაში სწავლის სურვილი . მშობლებიც ითხოვდნენ, რომ მათთვის ესწავლებინათ წერა-კითხვა.

მოსე ნათაძის ენერგიული , თავდაუზოგავი მუშაობა ბევრჯერ აღუნიშნავს საზოგადოების გამგეობას. 1883 წელს გიორგი იოსელიანს სკოლაში არსებული

მდგომარეობა შეუსწავლია და მაღალი შეფასება მიუცია მოსე ნათაძის მოღვაწეობისათვის.

სერგეი მესხიც დადებითად აფასებდა მოსე ნათაძის მუშაობას: „ათი დღის განმავლობაში თითქმის მუდამდღე დავიარებოდი ნათაძის გაკვეთილებზედ და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდდილებებიგამოვიტანე. მ. ნათაძე, როგორც ეტყობა, გამოცდილი მასწავლებელია ... ერთი სიტყვით, მოსე ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი.“(გაზ. „დროება“ 1882#270)

მოსე ნათაძის მიერ გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად, მაინც არ მოხერხდა მაჰმადიანი ბავშვების სკოლაში მასიურად მოზიდვა. იაკობ გოგებაშვილი და სხვები და სხვებიც აღნისნავდნენ, რომ გაცემული ხარჯების მიუხედავად, სკოლა თავის მაღალ დანიშნულებას ვერ ამართლებდა, ვერ გადაიქცა აჭარელთა სწავლა - განათლების ცენტრად.

ი. გოგებაშვილი და გამგეობის ზოგიერთი წევრი ფიქრობდა, რომ მაჰმადიან ქართველთათვის ცალკე სკოლა გახსნილიყო ქობულეთშიც. ი. გგოგებაშვილი დარწმუნებული იყო, რომ სკოლა ქობულეთში გაცილებით მეტ ნაყოფს გამოიღებდა, ვიდრე ბათუმის სკოლა და ქობულეთლებს მოუწოდებდა დახმარება აღმოეჩინათ საზოგადოებისათვის ამ ჩანაამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „უმთავრეს ხარჯს - ჯამაგირს მასწავლებლისას, სკოლის ავეჯეულობის გაკეთებისას და წიგნების გაგზავნას სკოლაში, ყოველ შემთხვევაში თვითონ „წერა-კითხვის ზაზოგადოება“ იკისრებს, დანარჩენ მცირე ხარჯს, სახლის ქირას და სხვ. ქობულეთი უნდა გაუძღვეს. სადაც კი საქართველოში სკოლაა, სოფელი იხდის ორმოცამდე თუმანს წელიწადში და ქობულეთს ნუთუ ამის ნახევრის გადახდა გაუჭირდებაო.“(გოგებაშვილი,1954 :262)

იაკობ გოგეაშვილის წინადადებას დიდი მოწონებით შეხვდა ქობულეთის საზოგადოება; 1887 წლის იანვარში ჩაატარეს საერთო კრება და „ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ამცნეს ქობულეთელთა სურვილი ქართული სკოლის გახსნის შესახებ: „ აქაურმა სოფლებმა: ალამბარმა, სამებამ, პატ. ქობულეთმა და ჩურუქ-სუმ განჩინება შეადგინეს და მიჰმართეს

ქართველთა შორის წერა - კითხვისგამავრცელებელ საზოგადოებას, რომ მან მიიღოს ეს სკოლა თავის მფარველობის ქვეშ. სასკოლო სახლს იძლევა დაბა ჩურუქ-სუში აქაური ბეგი ასლან თავდგირიძე, სახლი გვარიანია, ეზო დიდი აქვს, სკოლას ცოტა შეკეთება უნდა . 15-16 თუმანზე ზევით არ გამოართმევს ბეგი ქირას „საზოგადოებას“, თუ მისი სახლი იქირავეს.“ (კომახიძე,1995:22)

აღნიშნულმა კრებამ სკოლის დაარსებისთვის არჩია მზრუნველთა კომიტეტი, როომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ : კინტრიშის უბნის უფროსი მოვალეობის აღმასრულებელი ალექსანდრე არობელიძე, ქობულეთის მკვიდრი დედე-აღა ნიჟარაძე და გულო-აღა კაიკაციშვილი; ეს უკანასკნელი ქართული პრესის საშუალებით ხშირად ეხმიანებოდა მთელ საქართველოს და ემუდარებოდა, რომ განათლების სხივი შეეტანათ თურქებისაგან დაჩაგრულ ამ ულამაზეს კუთხეში. საზოგადოებისადმი გაგზავნილ მიმართვას ხელს აწერდა 37 კაცი.

აჭარის დიდი ქომაგი იაკობ გოგებაშვილი საზოგადოების პირველ ნაბიჯად მაინც ქართული სასწავლებლის დაარსებას მიიჩნევდა ქობულეთში: „.... სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი „ წეწრა-კითხვის საზოგადოების“ მოქმედებისა მაჰმადიან საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი - გამართვა სკოლისა აჭარაში. მაგალითად ქედაში მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯი , რათა საზოგადოება მოეწიოს თავის წადილსა: განათლების მოფენას სამხრეთ საქართველოში და განახლებას ძმურის კავშირისას ჩვენსა და აჭარელ - ქობულეტელთა შორის ეროვნულ ნიადაგზე“...(გოგებაშვილი, 1940:262)

ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნის მეათე წლისთავზე 1891 წ. წინა პლანზე წამოიწია ქობულეტელტა მოთხოვნა სკოლის გახსნის თაობაზე. საზოგადოების მთხოვნა, უპირველესად, განპირობებული იყო ქვეყნის სიდუხჭირით. თვლიდნენ, რომ საყოველთაო გასაჭირისა და სიბნელის მიზეზი იყო ხალხის გაუნათლებლობა: ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს , რომ ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილი უფრო გამოიკვეთა, გაიგეს სკოლის ფასი. მშრომელი ხალხი მთლიანად ქართული სკოლის მხარეზე დადგა, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავდა. (წულუკიძე, 1982:27)

ქობულეთში ქართული სკოლის გახსნა ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. პრობლემათა ფინანსური მხარე ძირითადად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ პრაქტიკული შედეგი არ ჩანდა. ამას სოფელ მაკვანეთის კერძო სკოლის მასწავლებლის კონსტანტინე გვარამაძის წერილებიც ვხადყოფს: „ შარშან მე მსურდა ქობულეთში პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დამეარსებინა ქართველ მაჰმადიანებისთვის, მაგრამ დახმარება არავინ მომცა და აზრი დღევანდლამდე განუხორციელებელია. დღეს რადგან ქობულეთს თავისი სკოლის გასამართავად ფონდი აქვს „ აქა-იქიდან შეგროვილი, ამისთვის ამ ზაფხულს დიდ თადარიგში ვარ ქობილეთში სკოლის დაარსებისათვის, შარშან ქობულეთლებმა შენობა დამითმეს.“ (გაზ. „ივერია“, 1882:#53)

მეორე წერილში კი კონსტანტინე გვარამაძე გვაუწყებს: „ ... გაზეთ „ივერია“-ში დაბეჭდილი იყო ჩემი წერილი, რომელშიც ჩემს აზრს ვაცხადებდი ქობულეთში სკოლის დაარსების თაობაზედ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ იმავე წერილში ვსთხოვდი დახმარებას და თუ არ დამეხმარებოდა , ამავე ქობულეთის სკოლის სახელობაზედ შეგროვილი ფულის დათმობას. არც ერთისა და არც მეორეს პასუხი არ მომსვლია, საქმე გაჩერებულია ისევ, როგორც იყო.“(გაზ. „ივერია“, 1882:#176)

ამ საშვილიშვილო იდეის ხორცშესხმისათვის აქტიურად დაიწყეს ბრძოლა გულო-აღა კაიკაციშვილმა და დედე აღა ნიჟარაძემ. ქობულეთის მაზრის უფროსს წერილობით აცნობეს ქობულეთის საზოგადოების თხოვნის შინაარსი; ის წერილი საბოლოოდ ბათუმის ოლქის უფროსის ხელში აღმოჩნდა. ოლქის უფროსი დაინტერესდა მიღებული ინფორმაციით და მეორე დღესვე ჩავიდა ქობულეთში, დაიბარა სოფლის მამასახლისები და პირადად მოახსენა მადლობა ამ საქმის დამწყებთ. ადგილობრივი ხოჯების წინააღმდეგობის მიუხედავად , მაინც გადაწყდა სკოლის დაარსება. ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი შეასრულეს გულო კაიკაციშვილმა და დედე ნიჟარაძემ. მათ საზოგადოების დიდ ნაწილს შთააგონეს სკოლის გახსნის აუცილებლობაზე და საქმემაც სწორი მიმართულება მიიღო , გულო კაიკაციშვილმა სკოლის მშენებლობისთვის შეისყოიდა 500 მანეთად ღირებული თავდგირიძეების ვრცელი მიწის ნაკვეთი, რამაც სტიმული მისცა საზოგადოებას, რომ აქტიურად ჩაბმულიყო სკოლის

მშენებლობაში, მოჰქონდათ სამშენებლო მასალები: ხე, კირი, ქვა და სხვა. შეკრებაზე გამოსუმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქართველები იყვნენ და ამიტომაც კატეგორიულად მოითხოვდნენ სკოლაში ქართულ ენაზე ყოფილიყო სწავლება.

ქობულეთელთა სამართლიან მოთხოვნას ისიც უქმნიდა მყარ საფუძველს, რომ ქობულეთში ქართული წიგნის კითხვა მნიშვნელოვნად ვითარდებოდა. „ვაჭრები ძირითადად ქართულ ენაზე ავსებდნენ საბუთებს და ეს ტრადიცია მოსახლეობის სხვა ფენებსიც იკიდებდა ფეხს.“ (კომახიძე 1995:25)

ქობულეთის სკოლის საძირკველი 1890 წლის აგვისტოში ჩაიყარა. გათვალისწინებული იყო 14 ოთახის მოწყობა. სკოლის მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო. სკოლამ ფუნქციონირება1895 წლიდან დაიწყო.

სკოლაში მეცადინეობის დაწყების შემდეგ ქობულეთელთა ინტერესი სწავლის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მოსწავლეთა რაოდენობა იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდნენ. დღის წესრიგსი ბიბლიოთეკის გახსნის საკითხიც დაისვა. სწორედ ამ გზით იყო სესაძლებელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ამის თაობაზე მართებულად შენიშნავს თეიმურაზ კომახიძე წიგნში „აჭარის მოამაგენი“: „სკოლაში შემსვლელთა რაოდენობა ნორმაზე მეტი აღმოჩნდა. საჭიროებამ მოითხოვა ქობულეთში გახსნილიყო ბიბლიოთეკა, რათა წიგნების საშუალებით ხალხში გავრცელებულიყო წერა-კითხვა. ამ საკითხის მოგვარებაც კაიკაციშვილმა (იგულისხმება გულო აღა კაიკაციშვილი) - შ.ბ.) იკისრა და თავის ოჯახში შექმნა ბიბლიოთეკა, რომელიც რამდენიმე ასეულ წიგნს შეიცავდა . წიგნის ფონდის შევსება ხდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვა მეცენატ ქართველ სასაზოგადო მოღვაწეების დახმარებით. წიგნზე მოთხოვნილება ძალიან დიდი იყო და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილება.“(კომახიძე 1995 :26)

გულო კაიკაციშვილი არამარტო ერთერთი სკოლის დამაარსებლად გვევლინება ქობულეთის რაიონში, არამედ პირველი ბიბლიოთეკის ფუძემდებლადაც. ჩურუქ-სუში დაარსებული სასწავლებლისთვის გამოჰყო1200

მანეთი. გამოიწერა 80 ქართული წიგნი და დაარიგა ქართველ მაჰმადიანთა შორის.

ქობულეთში სკოლის გახსნამ დააინტერესა სხვა სოფლის მაცხოვრებლებიც და სურვილი გამოთქვეს მათთანაც გახსნილიყო სკოლები. სკოლების გახსნის შესახებ წერილებს აქვეყნებს გაზეთ „ივერია“-ში აბდულ მიქელაძე. იგი მადლობას უხდის „ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აჭარის მოსახლეობაზე გაზეული ღვაწლისთვისდა გულისტკივილით აღნიშნავს: „ მოგმართავთ თქვენ, ჩვენო საყვარელო ძმებო და გევედრებით ქედაში სკოლა გაგვიმართოთ. ამ სკოლის გამართვით თქვენ დიდს დავალებას დაგვდებთ და იმედია, რომ ამას არც ჩვენ დავივიწყებთ... კარგი სკოოლა აჭარისათვის წამალი იქნება. მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება. იმედია, რომ ჩვენს თხოვნას შეიწყნარებთ, შეიბრალებთ ამოდენა ქართველ მაჰმადიანთა შვილებს და ქედაში სკოლას გაგვიმართავენ.“(გაზ. „ივერია“, 1882:#71)

ქობულეთისა და ქედის მოსახლეობის მნისვნელოვანი ნაწილი შეძლებისდაგვარად აგროვებდა ფულს. მაგალითად : ქედის მცხოვრებლებმა შესაბამისად 311 და 52 მანეთი სეაგროვეს და მოითხოვეს სკოლის გახსნა , მაგრამ „ ქართველტა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ პრაქტიკულად ვერ სესძლო სასკოლო ქსელის გაფართოება. მოსახლეობის მიერ შეგროვილი თანხები საზოგადოების გამგეობამ სოფ. ქობულეთისა და ქედის მცხოვრებთა შვილებს მოახმარა ბათუმის ქართულ სკოლაში.

იაკობ გოგებაშვილი კი იზიარებდა იმ აზრს, რომ ბათუმის პირველი სკოლა გარკვეული წარმატების მიუხედავად, სრულად მაინც ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას მაგრამ ამასთან ერთად იმასაც აღნიშნავდა, რომ სკოლის წარმატება აშკარად დამოკიდებული იყო მასწავლებლის მოღვაწეობაზე, რის მაგალითადაც მოსე ნათაძის მოღვაწეობა მიაჩნდა.

1891 წელს ილიას რეკომენდაციითბათუმის სკოლის გამგე-მასწავლებლად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოგზავნა მიხაკო შარაშიძე, რომელსაც ილია პირადად იცნობდა. სანამ იგი ბათუმში ჩავიდოდა, დიდმა ილიამ ინახულა და შემდეგი დარიგება მისცა:

„დიდი სიფრთხილითა და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმებს შორის მუშაობა. გახსოვდეს, რომ ქართველი მუსლიმანები, ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვივებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო... დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ წერა- კითხვასთან ერთად თუ შევაგნებინებთ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან სარწმუნოებით.“ (წულუკიძე, გაზ. „ლიტერატურული ჭარა“, 1996:#6)

სახალხო მასწავლებელი მიხეილ (მიხაკო) შარშიძე სამი წლის განმავლობაში მარტო წინამძღოლობდა ბათუმის სკოლასდა პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. 1894 წლის იანვრიდან ბათუმის სკოლაში გაიხსნა ახალი შტატი და მასწავლებლის თანამდებობაზე დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული კ. ბერიკაშვილი.

გ. ნიორაძე თავის წიგნში „ პირველი ქართული სკოლა ბათუმში“ გადმოგვცემს: „სამი წლის შემდეგ ბათუმის სკოლაში მუშაობას განაგრძობს მიხეილ შარაშოძე, რომელმაც ბათუმის სკოლას თავი გაანება 1898 წლიდან და მის მაგივრად მიწვეული იქნა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული , მანამდე მასწავლებლად ნამუშევარი ისიდორე ივანეს ძე რამიშვილი, რომელმაც ბათუმის ქართული სკოლის გამგე- მასწავლებლად იმუშავა 1903 ივლისამდე.“(ნიორაძე, 1958:46)

მასთან მუშაობდა ქუთაისის სათავადაზნაურო და ძველი სენაკის სკოლების მასწავლებელი ივლიანე გოგოლაშვილი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მკვეთრმა მატებამ ბათუმის ქართულ სკოლაზე მოსწავლეთა მატება გამოიწვია. დასავლეთ საქართველოდან ბათუმს მრავალრიცხოვანი მუშათა ნაკადი მოაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში იმ დროისთვის არსებობდა საქალაქო სასწავლებელი, ვაჟთა გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებელი, ქალთა გიმნაზია, ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი და რამდენიმე კერძო სკოლა. ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლა ერთადერთი ქართული სასწავლებელი იყო, რომელსაც ეტანებოდა ქართველ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, სკოლაში მაინც ორი მასწავლებელი

მუშაობდა, რომლებსაც არ შეეძლოთ ამ რაოდენობის მოსწავლეთა კონტინგენტთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურად წარმართვა; ამიტომაც მესამე მასწავლებლის მოწვევის საკითხი საზოგადოების გამგეობის განხილვის საგნად იქცა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა ხანგრძლივი დავისა და კამათის შემდეგ, ბათუმის ქართულ სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევადადებითად გადაწყდა. ამრიგად ბათუმის პირველდაწყებითმა სკოლამ დაარსებიდან 20 წლის შემდეგ შეძლო მასწავლებელთა რიცხვის სამამდე , ხოლო მოსწავლეთა რიცხვის 200 - მდე გაზრდა.(ნიორაძე, 1958:65)

ბათუმის სკოლაში 1903 წლისან მუშაობდნენ ა. გელაძე, ბ. გელაზანია და სხვები.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, მართალია, მხოლოდ ერთადერთი სკოლის გახსნა მოახერხა აჭარაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოების გამგეობამ იმ დროისთვის მაინც ყველაზე მეტი თანხა ბათუმის პირველი სკოლის დაარსებასა და მის ფუნქციონირებას მოახმარა. დიდი სიძნელეების მიუხედავად, ბათუმის ქართულმა სკოლამ თავისი მიზანი შეასრულა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მისიაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი თავმჯდომარეები იყვნენ იმ დროისთვის გამოჩენილი ადამიანები: დავით ყიფიანი, (1879-1889 წწ.) ილია ჭავჭავაძე (1887-1907 წწ.), გიორგი ყაზბეგი (1907-1921 წწ.). საზოგადოებამ იარსება 1927 წლამდე.

ამრიგად, ბათუმის ქართული სკოლა , რომელიც „ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ თაოსნობით გაიხსნა 1881 წლის მარტში და 1920 წლამდე იარსება, წარმოადგენდა ისეთ სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თუტქეთის სამასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებული ბათუმის ოლქში. იგი თავისი მიზანსწარაფულობით აღვივებდა მაჰმადიან მოსწავლეებში ეროვნულ გრძნობას, უპირისპირდებოდა

ცარიზმის თვითმპყრობელირ, რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას.სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შემოკრიბა მაჰმადიან მოსწავლეთა დიდი კონტინენტი, მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის მოსახლეობის დეფორმირებული ცნობიერების გამოსასწორებლად, მაჰმადიან ქართველებში ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად, რამაც პრაქტიკულად განაპირობა დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შეკავშირებისთვის.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აჭარაში ვერ ჩამოყალიბდა ისლამური კულტურა. ხალხმა თავის წიაღში შეინახა და გამოატარა ეროვნული კულტურის ნიშნები, პირველ რიგში ქართული ენის სახით. 1878 წელს აჭარამ თურქთა სამსაუკუნოვან ბატონობას თავი დააღწია და დედასაქართველოს დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა როგორც მთელ საქართველოში, ისე საქართველოს ამ რეგიონშიც, აჭარაში მის დამკვიდრებას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. აჭარის ერთ დროს დაკნინებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რამაც ნოყიერი ნიადაგი შექმნა საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის. ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლებულ აჭარაში სამი სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა: ა) არსებობას განაგრძობდა მაჰმადიანური სკოლები – მედრესეები, ბ) რუსეთის ბატონობის დამყარების გამო შეიქმნა ცარისტული სასკოლო სისტემა, გ) დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში საქართველოს ეროვნული ძალების დახმარებით შეიქმნა ქართული სასკოლო სისტემის გავრცელების ხელსაყრელი პირობები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით 1881 წლის მარტში გახსნილი ბათუმის პირველი ქართული სკოლა წარმოადგენდა ისეთ სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თურქეთის სამასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებული ბათუმის ოლქში. იგი თავისი მიზანსწრაფულობით აღვივებდა 72 მაჰმადიან მოსწავლეებში ეროვნულ გრძნობას, უპირისპირდებოდა ცარიზმის თვითმპყრობელურ, რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე, მართალია, ვერ მიიზიდა მაჰმადიან მოსწავლეთა დიდი კონტინგენტი, მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის მოსახლეობის დეფორმირებული ცნობიერების აღსადგენად, მაჰმადიან ქართველებში ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად. ,,ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში ქართული სკოლების გახსნით

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და დიდი სამსახური გაუწია აჭარის მოსახლეობას, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობა-ერთობის გამყარებისა და განმტკიცების საქმეს. საქველმოქმედო საზოგადოებამ სწავლების ქართულ ენაზე დაფუძნებით გამოიწვია აჭარის მოსახლეობის დიდი ინტერესი და ნდობა; ამით საშუალება მისცა აჭარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჩაეხედა იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენა"-ში, გაეთავისებინა იგი, ერთხელ კიდევ განეცადა საკუთარი ქართული წარმომავლობით მოგვრილი სიამაყის გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ ისინი სულითა და ხორცით ქართველები იყვნენ. მეფის რუსეთის მიერ დამკვიდრებულ აჭარაში საერო განათლებასთან ერთად მაჰმადიანური სასკოლო განათლება თითქმის ხელუხლებელი დარჩა, კვლავაც არსებობდა თურქული რელიგიურ-კონფესიური სკოლები, სადაც სასწავლო პროცესს წარმართავდნენ თურქოფილური და ისლამისტური ორიენტაციის მქონე მოლა-მასწავლებლები. ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა საქართველოსი მკვეთრად გამოხატულ კოლონიალურ ხასიათს ატარებდა. იგი ცდილობდა ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემა მაქსიმალურად დაექვემდებარებინა საერთო საიმპერიო სისტემასთან. ამრიგად, ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ აჭარაში ორმაგი უცხო საგანმანათლებლო სასკოლო სისტემა არსებობდა და ორივე ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა. აჭარაში მეფის რუსეთის მიერ დაარსებულ სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე წარმართვით რუსეთის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ ქართული ენის ღირსება და ამით აღმოეფხვრათ ,,ინოროდცებში" ეროვნული მეობის შეგნება, შუღლი ჩამოეგდოთ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის. იმპერიული რუსეთის მიერ დაარსებული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლოაღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.. და მაინც, დაარსებულმა სასწავლებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს აჭარის მოსახლეობაში წერაკითხვისა და ელემენტარული განათლების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში. მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, „ქართველთა

შორისწერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არა მარტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. უნდა გვახსოვდეს ყველა ქართველს, რომ ყველა ერი უწინარესად იმ კულტურას სცემს პატივს, რომლის შექმნაშიც მონაწილეობდა ისტორიულად. კარგად გვმართებს დაფიქრება განათლების ისტორიის გამოცდილების გასაზიარებლად, რომ ძალდაუტანებლად მოხდეს აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის შეგნების ამაღლება ქართული კულტურის სფეროში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. აბაშიძე ჰ.- ხმა ქრისტიან მოძმეებს, გაზ: „ბათუმის ფურცელი, 1913, N19
2. ბაბილოძე გ.-„ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან“,- გამომ. „საბჭოთა საქართველო“, ბათუმი, 1975.
3. ბაბილოძე გრ. -„განათლების აღმავლობა აჭარაში“,გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1979.
4. გვარამიძე კ.-თხოვნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას,-გაზ. „ივერია“, 1882, N153.
5. გვარამიძე კ.-ისევ მოწოდება,- გაზეთი „ივერია“, 1882, N176.
6. გობრონიძე ალ.-„გოგებაშვილი და აჭარა“, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1970.
7. გოგებაშვილი ი.- თხზ. ტ I I, -„ინსტიტუტის გამომცემლობა“ თბილისი,1954
8. გუგუნავა ნ, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, გამომც. „აჭარა“ ბათ,1997
9. კლდიაშვილი დ, ჩემი ცხოვრების გზაზე, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათ.1991
10. კომახიძე თ.- აჭარის მოამაგენი,-გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 1995
11. მესხი ს.-ბათუმის ქართული სკოლის შესახებ,გაზეთი „დროება“ 1882, N270.
12. ნიორაძე გ.-პირველი ქართული სკოლა ბათუმში, გამომც.“ცოდნა“ თბილისი, 1958.
13. წულუკიძე ვ.-ქ.შ.წ.კ.დ. საზოგადოება, -ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, 1996, N6,გვ.121-137.
14. წულუკიძე ვ -„პირველი ქართული სკოლა აჭარაში“, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი 1982.
15. წულუკიძე ვ, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, გამომცემლობა „აჭარა“ 2002
16. წერეთელი აკ- თხზ., ტ. XII, თბილისი, 1961.
17. წერეთელი აკ- თხზ., ტ. XI, თბილისი, 1960.
18. ჭავჭავაძე ი.- შინაური მიმოხილვა -ჟურნალი „ივერია“ 1879 N1
19. ჭავჭავაძე ი.- შინაური მიმოხილვა -ჟურნალი „ივერია“ 1879 N1.

20. ხუნდაძე ტ.-„ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“,გაამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ1960.
21. ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული, №2, თბილისი1955.
22. გაზ. „დროება“ 1882#270
23. გაზ. „მოამბე“ 1895 #5
24. გაზ. „ივერია“, 1882 #711
25. გაზ. „ივერია“, 1882 #176
26. გაზ. „ივერია“, 1882 #53
27. საქ.ცა, საქ. № 42
28. საქ.ცა, საქ. № 60